სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მედეა გიუნაშვილი

მდგრადი განვითარების გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლალი ოსაძე

ასოცირებული პროფესორი

გორი

2020

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ჩვენ მიერ საკვლევი სამაგისტრო ნაშრომი **,,მდგრადი განვითარების გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა“**, შეეხება მდგრადი განვითარების გარემოს დაცვის ეკონომიკურ პოლიტიკას, მგრადი განვითარების მიზნების შესრულებას და გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის როლს, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში. კვლევის **მიზანია,** საქართველოში მდგრადი განვითარების და გარემოს დაცვის პოლიტიკის არსებული მდგომარეობის და განვითარების მნიშვნელობის ჩვენება, რაც მეტად **აქტუალურია** დღეს. ჩატარებული **კვლევის ამოცანაა:**

- ინფორმაციის მოძიება და დამუშავება;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- დასკვნებისა და რეკომენდაციის შემუშავება.

ჩატარებული **კვლევის საგნია,** საერთაშორისო გამოცდილება, მდგრადი განვითარების და გარემოს დაცვის საერთაშორისო და ეროვნული პროგრამები, რომელიც კარგადაა აპრობირებული ევროკავშირში. სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ ჩაღრმავებული კვლევა, გავაანალიზეთ, საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევის შედეგები. ძირითად **შედეგად** ვამტკიცებთ, რომ გარემოს დაცვა და ეკონომიკური განვითარება უნდა განიხილებოდეს ერთმანეთის შემავსებლად. ჩვენს მიერ ჩატარებული **კვლევის პრაქტიკული ღირებულება არის,** ის, რომ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა შესაძლებელია მაშინ, როცა დაცულია წონასწორობა ქვეყნის განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას შორის და, რომ ხალხის კეთილდღეობა მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც გარემოსდაცვით პოლიტიკას ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორიც ეკონომიკურ ზრდას.

Annotation

The politics of environmental and sustainable development

M. Giunashvili

The politics of environmental and sustainable development .

The master thesis is ,,The politics of environmental and sustainable development" is created by us. It is about the politics of environmental protection. The aim of the research is to show the coment state and importance of sustainable development and environmental politics in Georgia. It is relevant todey.

The purpose of the research is:

- Information retrieval and processing;
- Defining research metoddogy;
- Develop concrisions and recommendations .

The subject of the research is international experience, international and national programs for sustainable development and environmental protection, which are well tested in the European Union. In the master's thesis we used in depth research, analyzed the results of international and local research The main result is that the environment and economic development should be considered as complementary. The practical ralue of our research is that economic properity can be achieved while maintaining a balance between the country's development and the use of natural resources, and that the well-being of the people can only be ensured when environmental politics is as important as economic growth.

სარჩევი

შესავალი ---------- 5

თავი I. მდგრადი განვითარების გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა ---------- 9

1.1 მდგრადი განვითარების და გარემოს დაცვის ეკონმიკური პოლიტიკის არსი - 9

1.2 გარემოსდაცვითი პოლიტიკა საქართველოში ---------- 22

1.3 გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები ---------- 32

თავი II. მწვანე პოლიტიკა და მდგრადი განვითარება ---------- 37

2.1 გლობალური მწვანე პოლიტიკა ---------- 37

2.2 მწვანე ეკონომიკა - საქართველოს მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება ---------- 40

თავი III. საქართველოს გარემოსდაცვითი პრობლემები და გამოწვევები ---------- 50

3.1 საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა ---------- ----------50

3.2 მდგრადი განვითარების პრობლემები საქართველოსა და მსოფლიოში ------- 55

დასკვნა ---------- 70

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 74

შესავალი

მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით.

არსებული ეკოლოგიური და მასთან დაკავშირებული პრობლემების განვითარების ტენდენციის შედეგად დღეს უკვე სახეზეა მრავალი ეკოლოგიური პრობლემა: ტროპიკული ტყეების მასიური გაჩეხვა, სახეობების გადაშენება, ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, კლიმატის ცვლილება და სხვა.შესაბამისად, საჭიროა სწრაფი რეაგირება და ინოვაციური გზების მოძებნა, რათა მოხდეს ინდივიდუალური ქცევისა თუ ინსტიტუციური სტრუქტურებისა და პოლიტიკის შეცვლა მდგრადი განვითარების პრინციპების დასადგენად და განსახორციელებლად. კერძოდ, კი მდგრადი განვითარების მიღწევა გულისხმობს რიგი ქმედებების ახლებური ხედვით განხორციელებას სახელმწიფოსა და ინდივიდუალურ დონეზე, როგორც წარმოებისა და მოხმარების არსებულ პრაქტიკაში, ასევე სათანადო სახელმწიფო მართვაში.

მდგრადი განვითარების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა ექნება წარმოებაში ეფექტიანობის გაზრდასა და ნედლეულის ხელახალი გამოყენების დანერგვას. ეკოეფექტური საწარმოებისა და კომპანიების არსებობა შესაძლებელს გახდის ერთი მხრივ წარმოებულ პროდუქციასა და სერვისებზე კონკურენტუნარიანი ფასების ხარჯზე მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას, მეორე მხრივ კი, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებასა და ამავდროულად ნედლეულის ეკონომიკურ გამოყენებას, ისე რომ არ დაირღვეს ეკოსისტემების ბუნებრივი წონასწორობა.

საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, ამ გაერთიანებაში პოლიტიკური ასოცირების და ეკონომიკური ინტეგრირების

ხელშეწყობის მიზნით. ხელშეკრულება ითვალისწინებს საქართველოს ჩართულობის ზრდას ევროკავშირის სტრატეგიებში, პროგრამებსა და ორგანიზაციებში; ასოცირების შეთანხმების 301-ე პარაგრაფის თანახმად, მხარეები თავიანთ ურთიერთობებს ააგებენ და გააძლიერებენ, მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. ამასთანავე, მდგრადი განვითარების პრინციპების უპირატესობები და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა აღნიშნულია საქართველო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020[1] თანამედროვე მსოფლიომ გადაწყვიტა, გადახედოს განვითარების კლასიკურ გეგმას და იზრუნოს ხვალინდელ დღეზე, მომავალი თაობების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. რაც უფრო იზრდება გლობალური ეკონომიკის ზეწოლა დედამიწის ბუნებრივ რესურსებზე, მცირდება ტყის ფართობები მთელს მსოფლიოში, იზრდება გაუდაბნოებული ტერიტორიების ფართობი, მძაფრდება ნიადაგის ეროზია და უარესდება სასოფლო-სამეურნეო მიწების ხარისხი. გარდა ამისა, ატმოსფეროს ქვედა ფენა იწყებს დათბობას, ყინული დადნობას, ზღვის დონე იმატებს და შტორმის ეფექტი უფრო დამანგრეველი ხდება. ბევრ ადგილებში კი პირიქით, წყლის დონე დაბლა იწევს, მდინარეები შრება, თევზები კვდება, მარჯნის რიფები ქრება და სხვადასხვა სახეობები გადაშენდება.

გარემოს დაცვისა და სოციალური სფეროების მეცნიერების დასკვნებით, გარემოსთან დაკავშირებული ამ და სხვა პრობლემების ხუთი მთავარი გამომწვევი მიზეზი არსებობს, ესენია: მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რესურსების უყაირათოდ და არამდგრადად გამოყენება, სიღარიბე, გარემოს გაუარესებით გამოწვეული დანახარჯების აუსახველობა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში და ცოდნის ნაკლებობა გარემოში მიმდინარე პროცესებზე.

2015 წლის 25 სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა:

[1] http://www.economy.ge/?page=ec

2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას.

ახალი მიზნები ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები გლობალური ბუნების და უნივერსალური გამოყენებისანი არიან, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს და პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკას და პრიორიტეტებს. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არ არიან - მათი განხორციელება ინტეგრირებულად უნდა მოხდეს.

მდგრადი განვითარების მიზნები არის უპრეცენდენტო შეთანხმება მდგრადი განვითარების შესახებ 193 წევრ ქვეყანას შორის. მიზნებმა მიიღეს მსოფლიოს სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნესის, პარლამენტარების და სხვა ადამიანების მხარდაჭერა. „მთავრობებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ბიზნეს სექტორმა და სხვა არასახელმწიფო აქტორებმა და ინდივიდებმა უნდა იმუშაონ იმისკენ“, რომ არავინ დარჩეს პროცესის მიღმა. ყველაზე განვითარებული, განვითარებადი და უღარიბესი ქვეყანა - ყველას გარკვეული ნაბიჯები აქვს გადასადგმელი მარგინალიზებული ჯგუფების ჩართულობის გასაუმჯობესებლად და იმისკენ, რომ ხელი შეუწყოს სოციალურ ინტეგრაციას, რაც სტაბილური და მდიდარი საზოგადოებების წინაპირობაა. [2]

ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარების მიზნით, 2017 წელს მომზადდა და 2021 წლამდე განვითარების პერიოდს მოიცავს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა. პროგრამა მომზადდა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის მომზადებისა და განხორციელების პროცესში მიღებული მნიშვნელოვანი გამოცდილების გათვალისწინებით. ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებზე.

[2] საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა, 2015-2016 *https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld*

გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა შემუშავდა შემდეგი სამი ძირითადი პოლიტიკური ტენდენციის გათვალისწინებით:

- „საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“;
- „გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები“ და ის გარემოსდაცვითი საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მხარესაც საქართველო წარმოადგენს;
- გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ეროვნული და დარგობრივი სტრატეგიები.[3]

[3] http://www.eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/ საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა -2017-2021 წწ, თბ.2017,იგვ.6-7

თავი I.

1.1.მდგრადი განვითარების და გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის არსი

საუკუნეების მანძილზე ადამიანი საკუთარ თავს სამყაროს ცენტრად განიხილავდა და მიაჩნდა, რომ ყველა ცოცხალი არსება თუ ბუნებრივი რესურსი კაცობრიობის საკეთილდღეოდ არსებობდა და მათი გამოყენება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეიძლებოდა. ასეთმა მიდგომამ ძალიან დააზარალა გარემო, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მე-19 საუკუნიდან - ინდუსტრიალიზაციის ეპოქის შემდგომ.კლიმატური ცვლილებები, ჰაერის დაბინძურების საგანგაშო დონე, რესურსების ამოწურვის საფრთხე - ეს ის პრობლემებია, რომელთა გამოც თანამედროვე მსოფლიომ გადაწყვიტა, გადახედოს განვითარების კლასიკურ გეგმას და იზრუნოს ხვალინდელ დღეზე, მომავალი თაობების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. სწორედ ეს არის მდგრადი განვითარება, *„რომელიც პასუხობს დღევანდელ მოთხოვნილებებს იმგვარად, რომ მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა.”* [4]

მდგრადი განვითარება მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებს. მიიჩნევა, რომ განვითარება უნდა იყოს ეკონომიკურად ხელსაყრელი, სოციალურად სამართლიანი და გარემოსთვის დამზოგავი.

მდგრადი განვითარება არის საზოგადოების განვითარების სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებით. მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური ზრდის

[4] საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა, 2015-2016 http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28553/Environment_Strategic_Action_Plan_13

ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით. ფრაზა „მდგრადი განვითარება“ პირველად მოხსენიებულ იქნა 1987 წლის გაეროს გარემოსა და განვითარების კომისიის ანგარიშში. მოხსენება შეიცავდა მდგრადი განვითარების განსაზღვრებას, რომელიც შემდეგი 25 წლის მანძილზე გამოიყენებოდა: „განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს აწმყოს მოთხოვნებს ისე, რომ არ უქმნის საფრთხეს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დააკმაყოფილონ თავიანთი საჭიროებები“. ამ განმარტებას შემდგომში დაემატა მდგრადი განვითარების სამი განზომილება: ეკონომიკური განვითარება, სოციალური ჩართულობა, და გარემოს მდგრადობა. [5]

სამგანზომილებიანი მდგრადი განვითარების მნიშვნელობას ხაზი გაესვა 2012 წლის რიოს+20 კონფერენციაზე.

საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლში წერია:

1. ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვაზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით

2. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით.[6]

---

[5] http://www.eiec.gov.ge/ თემები/Environmental-Education.aspx

[6] http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68
მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება 1995 წლის 24 აგვისტო

გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის და აღდგენის მიზნით საქართველოში მოქმედებს საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ” კანონი, რომლის მიზანია, *“უზრუნველყოს საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვა და აღდგენა, სახეობრივი მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება, მდგრადობა და მათი მდგრადი განვითარებისათვის პირობების შექმნა.”*[7]

1996 წელს საქართველომ მიიღო კანონი “გარემოს დაცვის შესახებ”, რომლის მიზნებს შორისაა, *“დაიცვას გარემოს დაცვის სფეროში საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი ადამიანის ძირითადი უფლებები - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში”*,[8] ასევე, ხელი შეუწყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების და ეკოლოგიური წონასწორობის უზრუნველყოფას.

საქართველოს გარომოს დაცვისა ბუნებრივი რესურსების სამინისტროში 2005 წელს შეიქმნა გარემოს დაცვის ინსპექცია, მისი ამოცანაა გამოავლინოს და აღმოფხვრას დარღვევები გარემოს დაცვის სფეროში, აგრეთვე, გაატაროს ღონისძიებები ამგვარი დარღვევების თავიდან აცილების მიზნით.[9]

გარემოსდაცვითი პოლიტიკა

გარემოსდაცვითი პოლიტიკა გულისხმობს გარკვეულ ვალდებულებას კანონების, წესების და პოლიტიკის სხვა მექანიზმების წინაშე გარემოსდაცვით და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს საკითხები ზოგადად მოიცავს ჰაერის და წყლის დაბინძურებას, მყარი ნარჩენების მართვას, ბიომრავალფეროვნებას, ეკოსისტემების მართვას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ბუნებრივი რესურსების დაცვას, ველურ და გადაშენების პირას მყოფ სახეობებს. გარემოსდაცვითი პოლიტიკის ნაწილია ასევე პოლიტიკა, რომელიც ეხება ენერგეტიკულ ან ტოქსიკური

---

[7] http://www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/files/kanoni%20witeli%20wignisa%20da%20witeli%20nusxis%20sesaxeb.pdf საქართველოს კანონი საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ მუხლი # 4 - კანონის ძირითადი მიზანი

[8] 1996 წლის 10 დეკემბერიმუხლი 3. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=29#!

[9] საქართველოს კონსტიტუცია http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68

ნივთიერებების რეგულირებას, პესტიციდებისა და მრავალი სახის სამრეწველო ნარჩენების ჩათვლით. ეს პოლიტიკა შეიძლება მიზანიმართულად იქნას მიღებული ადამიანის ქმედებების განსაზღვრისა და თვალყურის დევნების მიზნით, რათა თავიდან ავიცილოთ მავნე ზემოქმედება ბიოფიზიკურ გარემოსა და ბუნებრივ რესურსებზე და ასევე დავრწმუნდეთ, რომ ცვლილებები გარემოში არ ახდენს მავნე ზეგავლენას ადამიანზე. საქართველოში გარემოსდაცვითი დაგეგმვის სისტემის დანერგვის მცდელობა ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოდან იწყება. გაცნობიერებულ იქნა რა გარემოსდაცვითი პრობლემების კომპლექსური ხასიათი, ასევე ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვისა თუ სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებებში გარემოსდაცვითი საკითხების ასახვის საჭიროება, 1996 წელს მიღებულ იქნა ჩარჩო კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. ეს კანონი ითვალისწინებს ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგიის მომზადებას და ამ პროცესში წამყვან როლს გარემოს დაცვის სამინისტროს აკისრებს. 1991 წლის შემდეგ მრავალი კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი იქნა მიღებული საქართველოში გარემოს დაცვის სფეროში. საქართველოს კონსტიტუცია, რომელსაც უპირატესი ძალა აქვს სხვა საკანონმდებლო აქტებთან მიმართებში, ადგენს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ზოგად წესებს. კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ (1996) ქმნის ასევე ზოგადსამართლებრივ ჩარჩოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში.გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირება საქართველოში მრავალი საერთაშორისო ვალდებულებითაც ხდება. იმისათვის, რომ მოხდეს საქართველოს მიახლოება განვითარებულ საერთაშორისო საზოგადოებასთან, საქართველო ცდილობს დანერგოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული გარემოსდაცვითი მიდგომები და რეგულაციები, სადაც ეს შესაძლებელია. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ“. ამის მიუხედავად, ვერ ხერხდება ყველა საერთაშორისო ვალდებულების სრულყოფილად განხორციელება. ევროკავშირი-საქართველოს სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დოკუმენტს,

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის სტრატეგიულ მიზნებს სახავს. სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2006 წლის ნოემბერში ევროკომისიისა და საქართველოს მთავრობის მიერ და მისი განხორციელება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა ასოცირებულ შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთ საკითხს გარემოს დაცვის სფერო წარმოადგენს. ხელშეკრულება ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს გარემოს დაცვის სფეროში, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს არა მარტო ადამიანისა და ეკოსისტემებისათვის შესაბამისი გარემო პირობების უზრუნველყოფას, არამედ გარემოსდაცვითი მმართველობისა და ფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების გაუმჯობესებას.[10]

კლიმატის ცვლილება თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გამოწვევაა. მისი ფენომენი შემჩნეული იქნა მე-20 საუკუნის 70 იანი წლებიდან, როდესაც დაფიქსირდა მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდისა და გახშირებული კლიმატური კატასტროფების ტენდენცია. დღეისთვის, მეცნიერულად დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება ხდება დედამიწის მასშტაბით. კლიმატის ცვლილების ზეგავლენა გამოიხატება მყინვარების და ყინულის ფენის დნობაში ოკეანეებში, ე.წ. „სითბური ტალღების“, გვალვების, ხოლო მეორე მხრივ, ძლიერი წვიმების, ოკეანის დონის აწევა, დატბორვების, წყალდიდოების, ღავრცოფების, მეწყერების, ზვავების, ცუნამების, სხვადასხვა ქარიშხლების გაძლიერებას და გახშირებას. კლიმატის ცვლილების შედეგად, იცვლება ბუნება და ეკოსისტემები, იზრდება ადამანიათა დაავადებების რისკი, ეპიდემიები. „სათბურის ეფექტით“ გამოწვეული მავნე შედეგების ინტენსივობა იზრდება ყოველწლიურად რაც კიდევ უფრო ამძაფრებს და სასწრაფოს ხდის პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას. მე-20 საუკუნეში დაფიქსირებული და ამჟამად მიმდინარე კლიმატის ცვლილების მიზეზად აღიარებულია ადამიანის საწარმოო საქმიანობა და ინტენსიური ინდუსტრიალიზაცია, რის შედეგადაც გამოყოფილი სათბური აირები ცვლის ატმოსფეროს შემადგენლობას და ხელს უშლის სითბოს კარგვას. ამ აირებს „სათბური გაზები“ ეწოდება, რომელთა

[10] http://www.eiec.gov.ge /თემები/გარემოსდაცვითი-პოლიტიკა.aspx

შორისაა ნახშირორჟანგი, მეთანი, აზოტის ქვეჟანგი, ჰიდროფტორნახშირბადები, პერფტორნახშირბადები და გოგირდის ჰექსაფტორიდი. ეს გაზები შთანთქავს დედამიწიდან ატმოსფეროში არეკლილ ინფრაწითელ გამოსხივებას და აბრუნებს მას დედამიწაზე. სათბური გაზების მთელი რაოდენობის 63%-ს ნახშირორჟანგი შეადგენს, შემდეგ მოდის მეთანი 24%-ით, აზოტის ქვეჟანგი 10%-ით და სხვა აირები - 3%-ით. ყველაზე ძლიერი გაზებია HFC, PFC-ები და SF6-ები, ზოგადი სახელწოდებით "ფ-აირები". მეთანი იჭერს 21-ჯერ მეტ სითბოს, ვიდრე ნახშირორჟანგი, აზოტის ქვეჟანგი კი, 310-ჯერ მეტს. 1988 წელს მსოფლიოს წამყვანი მეცნიერებისგან შეიქმნა გაეროს კლიმატის ცვლილების სამთავრობათაშორისო საბჭო (Intergovermental Panel on Climate Change – IPPC) მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციისა და გაეროს გარემოს დაცვის პროგრამის მიერ. საბჭოს მიზანია, რომ შეაფასოს ადამიანის ქმედებით გამოწვეული კლიმატის ცვლილების რისკი, მისი პოტენციური შედეგები, მათი შერბილებისა და მისადმი ადაპტაციის გზები. ის არ ატარებს კვლევებს ან დაკვირვებას ჰავაზე ან მასთან დაკავშირებულ რომელიმე მოვლენაზე. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალური ანგარიშების გამოქვეყნებაა. ორგანიზაცია საკუთარ შეფასებებს, ძირითადად, სამეცნიერო ლიტერატურაში ექსპერტთა მიერ გამოქვეყნებულ და გადამოწმებულ მონაცემებზე დაყრდნობით აკეთებს. IPCC-ს მეოთხე ანგარიშმა დაადასტურა რომ მიმდინარე კლიმატური ცვლილებები ადამიანის საქმიანობასთან არის დაკავშირებული და რომ პროგნოზი ბევრად უფრო სავალალოა ვიდრე წინა ანგარიშებმა აჩვენა. კვლევის თანახმად, დღეისთვის ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მაჩვენებელი 400 ნაწილაკია მილიონზე, მაშინ როდესაც კრიტიკული ზღვარი 350 ნაწილაკია მილიონზე. IPPC-ს მეხუთე ანგარიშის თანახმად, ყველაზე ოპტიმისტური სცენარების შემთხვევაში, მსოფლიო საშუალო ტემპერატურა 21-ე საუკუნის ბოლოსთვის გადააჭარბებს 1.5 ცელსიუს გრადუსს 1850-1900 წლებთან მიმართებით, ხოლო 2 ცელსიუს გრადუსზე მეტს (4-8 გრადუსზეც კი), თუ ემისიების რაოდენობა კვლავ მაღალი იქნება. IPCC-ს განმარტებით, გაიზრდება წყლისადმი ხელმისაწვდომობის პრობლემა გვალვიან რეგიონებში და ნალექების რაოდენობა უფრო ტენიან რეგიონებში, რასაც პირდაპირი ზემოქმედება ექნება საკვების უსაფრთხოებაზე

მსოფლიოში. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მნიშვნელოვნად შემცირდება ნახშირორჟანგი ემისიები, კლიმატის ცვლილება მაინც გაგრძელდება, ატმოსფეროში უკვე დაგროვილი კუმულაციური ნახშირორჟანგის ზემოქმედებით. განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოების ეკონომიკას საფუძვლად უდევს წიაღისეული საწვავი, რომლის წვა უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს. შესაბამისად, სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი ატმოსფეროში ადამიანის საქმიანობის შედეგად გაფრქვეული ნახშირორჟანგის უდიდეს ნაწილზე. თუმცა, მათ სწრაფი ტემპით ეწევიან განვითარებადი ქვეყნებიც, განსაკუთრებით ჩინეთი და ინდოეთი, რომლებიც ახდენენ თავისი ეკონომიკის სწრაფ ინდუსტრიალიზაციას. ზოგადად კი, პასუხისმგებლობა მეტნაკლებად ყველა სახელმწიფოს ეკისრება. მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებს შორის აშშ ამჟამად ყველაზე მსხვილი „დამაბინძურებელია“ - მიუხედავად იმისა, რომ მისი მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებია, აშშ პასუხისმეგებელია ნახშირორჟანგის მსოფლიო ემისიის თითქმის მეოთხედზე. სხვა ძირითად „დამაბინძურებლებს“ შორის აღსანიშნავია ჩინეთი, ინდონეზია და ბრაზილია.

კლიმატის ცვლილება, ასევე განიხილება უსაფრთხოების პრობლემადაც, ვინაიდან ნავარაუდევია, რომ ეკოლოგიური კატასტროფების შედეგად გაიზრდება ეკოლოგიურ ლტოლვილთა რიცხვი (ხელმისაწვდომობა წყალზე, საკვებზე, წყალდიდობები, ზვავები და ა.შ). ნავარაუდევია, რომ 2050 წლისთვის დედამიწაზე შეიძლება იყოს 50-150 მილიონი ეკოლოგიური ლტოლვილი, მაშინ, როდესაც მეორე მსოფლიო ომის შედეგადაც კი ევროპაში მხოლოდ 7 მილიონი ლტოლვილი იყო. ამ ლტოლვილების დიდი ნაწილი არალეგალური მიგრანტის მდგომარეობაში აღმოჩნდება უცხო ქვეყნებში, სადაც გამოიწვევს სოციალურ და პოლიტიკურ არასტაბილურობას. ამგვარად, გლობალური დათბობა სერიოზულ საზრუნავს წარმოადგენს სახელმწიფოების საგარეო, სამხედრო და ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციების თვალსაზრისით.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია

1992 წელს რიო დე ჟანეიროში 106 ქვეყანამ მოაწერა ხელი კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციას, რომლითაც განვითარებულმა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ

შეამცირებდნენ ნახშირორჟანგის და სხვა სათბურის აირების ემისიას. მართალია კონვენცია სავალდებულო ხასიათის არ იყო თავიდან, მაგრამ საფუძველი ჩაუყარა კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სხვადასხვა მიმართულებებს. 1997 წლის 11 დეკემბერს დელეგატებმა 161 ქვეყნიდან ხელი მოაწერეს კიოტოს ოქმს. ოქმი ბევრი ბრძოლის შედეგად ძალაში შევიდა 2005 წლის 16 თებერვალს. იმისთვის, რომ შეჩერდეს გლობალური დათბობა და მოხდეს მისი ზემოქმედების ნეიტრალიზაცია, ორი მიმართულებითაა საჭირო მუშაობა. ერთი მიმართულებაა ე.წ. შერბილება (mitigation), რომელიც მიმართულია ნახშირორჟანგის კონცენტრაციის სტაბილიზაციაზე არსებულ დონეზე, რაც გულისხმობს მიმდინარე ემისიების შემცირებას 6683%-ით. უახლოესი ორი-სამი ათწლეულის მანძილზე ნახშირორჟანგის და ჰაერის სხვა დამაბინძურებლების ემისიის შემცირების ყველაზე სწრაფი, იაფი და ეფექტური გზაა ენერგიის უფრო რაციონალურად გამოყენება.

კიოტიოს ოქმი, კონვენციისგან განსხვავებით, სათბურის აირების ემისიის შემცირების კონკრეტულ მოთხოვნებს წარუდგენს 38 ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოს და ევროგაერთიანებას. ეს არის ემისიის საშუალოდ 5.2 %-ით შემცირება 1990 წლის დონესთან შედარებით, ხუთწლიანი პერიოდის (2008-2012 წლები) განმავლობაში. ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ ემისიის 8%-ით დაწევა 1990 წელთან შედარებით, აშშ-ს 7%-თ, იაპონიას 6%-ით. ოქმი აღიარებს, უპირველეს ყოვლისა, განვითარებული ქვეყნების პასუხისმგებლობას სათბური აირების არსებულ მაღალ ემისიაზე, როგორც ინდუსტრიული აქტიურობის 150-წლიანი (და მეტი) პერიოდის შედეგზე. ამიტომ, ოქმი ძირითად ვალდებულებებსაც სწორედ განვითარებულ სახელმწიფოებს აკისრებს. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებმა ძირითადად საკუთარი ძალებით უნდა მიაღწიონ დასახულ მიზნებს, ოქმი სთავაზობს მათ ურთიერთთანამშრომლობის დამატებით მექანიზმებსაც, მათ შორის:

- ემისიებით ვაჭრობა, ანუ „ნახშირბადის ბაზარი“;
- სუფთა განვითარების მექანიზმები (სგმ);
- ტექნოლოგიების ტრანსფერი.

ეს მექანიზმები ხელს უწყობენ ინვესტირებას გარემოსდაცვით სექტორში და ეხმარებიან მხარეებს თავისი ვალდებულებების რეალიზებაში რაციონალური ხარჯების ფასად. [11]

ემისიებით ვაჭრობა

კიოტოს ოქმის თანახმად, სახელმწიფოს, რომელმაც დასახულ დონეზე დაბლა დაწია სათბურის აირების ემისია, შეუძლია მიჰყიდოს დარჩენილი ემისიის უფლება ქვეყანას, რომელმაც თავისი დაგეგმილი დონის მიღწევა ვერ შეძლო. სახელწიფოებისა და რეგიონების დონეზე შეიძლება შემუშავდეს ემისიებით ვაჭრობით სქემები, რომელთა შესაბამისად მთავრობები დააწესებენ ემისიების შემცირების გარკვეულ ვალდებულებებს კონკრეტული ერთეულებისთვის ან იურიდიული პირებისთვის. ამჟამად მოქმედ სქემებში ყველაზე მსხვილია ემისიებით ვაჭრობის ევროკავშირის სქემა. პირველმა მსოფლიოში სათბურის აირებით ვაჭრობის პროექტის განხორციელება კიოტოს ოქმით დადგენილი წესების თანახმად დაიწყო კოსტა-რიკამ. მთავრობა შეიძენს და დაიცავს 5000 ათასზე მეტ კვადრატულ კილომეტრ ტროპიკულ ტყეს (უმრავლესობა ამ ნაკვეთებისა კერძო მფლობელობაში იყო) იმ თანხებით, რომელსაც მიიღებს სხვა ქვეყნებისთვის ნახშირორჟანგის ემისიის უფლების მიყიდვით. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მიდგომას განვითარებადი მსოფლიო ეჭვით უყურებს, რადგან არსებობს საფრთხე, რომ მდიდარი ინდუსტრიული სახელმწიფოები ბოროტად გამოიყენებენ თავის ფინანსურ შესაძლებლობებს, ანუ „გამოისყიდიან“თავის ემისიებს და ამ გზით, აარიდებენ თავს აღებული ვალდებულებების შესრულებას.[12]

სუფთა განვითარების მექანიზმები

სუფთა განვითარების მექანიზმი (სგმ) საშუალებას აძლევს ქვეყანას, რომელსაც კიოტოს პროტოკოლის შესაბამისად აღებული აქვს ემისიის შემცირების ან შეზღუდვის

---

[11] http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf
მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ.26

[12] http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ.26

ვალდებულება განახორციელოს ემისიის შემცირებაზე ორიენტირებული პროექტი განვითარებად ქვეყანაში. ასეთი პროექტის განხორციელების შედეგად განვითარებულ ქვეყანას გარკვეულ საფასურად გადაეცემა შემცირებული ემისიები (სრულად ან ნაწილი). ეს მას ჩაეთვლება კიოტოს ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, განვითარებადი ქვეყანა კი, მოგებული დარჩება მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პროექტის განხორციელებით. ეს შეიძლება იყოს სასოფლო რეგიონების ელექტრიფიკაცია, განხორციელებული მზის ბატარეების საშუალებით, ენერგეტიკულად უფრო ეკონომიური ბოილერების დაყენება და სხვა. სუფთა განვითარების მექანიზმს ბევრი განიხილავს, როგორც ნოვატორულ მიდგომას, რომელიც ახდენს მდგრადი განვითარების და ემისიების შემცირების სტიმულირებას და ამავე დროს შედარებით მოქნილად ხდის ჩარჩოებს, რომლებშიც კიოტოს ოქმი აქცევს ინდუსტრიულად განვითარებულ სახელმწიფოებს. [13]

კიოტოს ოქმი და შერბილების რეალური პროგნოზები

ბევრი ანალიტიკოსი აფასებს კიოტოს ოქმს, როგორც მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან ნაბიჯს არსებული პრობლემის გადასაჭრელად. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ მოახდინა ოქმის რატიფიცირება იმ მიზეზით, რომ ის არ უყენებს განვითარებად ქვეყნებს ემისიის შემცირების მოთხოვნებს. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სათბურის აირების ემისია სწრაფად იზრდება და სპეციალისტების ვარაუდით, 2020 წლისთვის გაიზრდება 70%-ით 1995 წელთან შედარებით. ამის გარდა, მეცნიერების შეფასებით, საჭიროა სათბურის აირების მინიმუმ 60%-ით შემცირება 1990 წლის დონესთან შედარებით, იმისთვის, რომ გლობალური დათბობა მისაღებ დონემდე შენელდეს, მაგრამ საეჭვოა ისიც, თუ რამდენად შეძლებენ კიოტოს ოქმის მხარეები იმ 5.2% ვალდებულების შესრულებასაც კი, რომელიც იტვირთეს. ბევრი ენერგეტიკოსი და ეკონომისტი ამტკიცებს, რომ კაცობრიობას შეუძლია შეამციროს ნახშირორჟანგის ემისიები

[13] მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ 26 იხ. http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf

30%-ით 1990 წლის დონესთან შედარებით 10-15 წლის განმავლობაში ენერგიის რაციონალური გამოყენების უკვე არსებული მეთოდების გამოყენებით და ამავე დროს დაუზოგოს წარმოებებსა და მომხმარებლებს მილიარდობით დოლარი. ენერგეტიკოსების ვარაუდით, შემდგომ 10-15 წელიწადში შესაძლებელია კიდევ 30%-იანი კლების მიღწევა განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებით. ეკონომისტები სთავაზობენ კაცობრიობას ნახშირორჟანგის ემისების შემცირების თავის გზებს. ერთერთი შესაძლო მიდგომაა თანდათანობით გაუქმდეს სამთავრობო სუბსიდიები წიაღისეული საწვავის მოპოვებისთვის და მოხდეს სპეციალური „ნახშირბადის გადასახადის“ შემოღება მათი, და ასევე ჰაერის სხვა დამაბინძურებლების, გამოყენებისთვის. იმისთვის, რომ ეს მიდგომა პოლიტიკურად განხორციელებადი იყოს, ეკონომისტების რჩევაა ასეთი გადასახადის გაწონასწორება სხვა გადასახადების, მაგალითად საშემოსავლო გადასახადის შემცირებით. იდეალურ შემთხვევაში, ასეთი გადასახადის შემოღებამ შეიძლება ხელი შეუწყოს ენერგიის უფრო რაციონალურ გამოყენებას და გადასვლას განახლებადი ენერგიის წყაროებზე. ეკონომისტების არგუმენტია, რომ ეს გადასახადი ეფუძნება პრინციპს „დამაბინძურებელი იხდის“ და აიძულებს მრეწველობას და მომხმარებლებს უშუალოდ გადაიხადონ მათ მიერ გამოყენებული საწვავის სრული ეკოლოგიური საფასური. ტყის ჭრის შემცირება და უფრო მდგრად სოფლის მეურნეობაზე გადასვლა თავისთავად უმნიშვნელოვანესია ნახშირორჟანგის ემისიების შემცირებაში და ბიომრავალფეროვნების დაცვაში. გლობალური დათბობის შესაჩერებლად აუცილებელია განხორციელდეს მსოფლიო მასშტაბით ტყის აღდგენის პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს აგრეთვე, ნიადაგის ეროზიის, წყლის დაბინძურების და ბიომრავალფეროვნების განადგურების საფრთხის შემცირებას. კლიმატის ცვლილების სამთავრობოთაშორისო ჯგუფის მონაცემების თანახმად, არსებული ტყეების დაცვით, განადგურებული ტყეების აღდგენაზე მიმართული ინტენსიური მუშაობით, კომერციული ტყეების მართვის გაუმჯობესებით და ხე-ტყის უფრო რაციონალური გამოყენებით შესაძლებელია მოვახდინოთ 2050 წლისთვის ატმოსფეროში გამოყოფილი ნახშირორჟანგის დაახლოებით 15%-ის

კომპენსირება. კვლევები აჩვენებს, რომ ეს იქნება შედარებით იაფი გზა ატმოსფეროში ნახშირორჟანგის კონცენტრაციის დროებითი სტაბილიზაციისთვის. [14]

კლიმატის ცვლილების შედეგებისადმი ადაპტაცია

კლიმატის ცვლილების შედეგების თავიდან ასაცილებლად, კლიმატის ცვლილების კონვენცია ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების მავნე შედეგებისადმი ადაპტაციის მიმართულებით მუშაობასაც. ეს გულისხმობს შეცვლილი გარემო პირობებისადმი ბუნებრივი სისტემების ადაპტირების უნარის გაძლიერებას - კლიმატის ცვლილების მავნე შედეგების ნეიტრალიზებისათვის ღონისძიებების გატარებას.

კლიმატის ცვლილების მავნე ზემოქმედება იმდენად მრავალმხრივი და ზოგჯერ, იმდენად მკვეთრია, რომ ბუნებრივი ადაპტირების უნარი შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს დარღვეული წონასწორობის აღდგენად და ესა თუ ის სისტემა (ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური) მოწყვლადი აღმოჩნდეს მოცემული ზემოქმედების მიმართ. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი ხდება კონკრეტული საადაპტაციო ღონისძიებების გატარება, რომელთა შინაარსი და მასშტაბები განისაზღვრება კონკრეტული ქვეყნის და პრობლემის სპეციფიკიდან გამომდინარე და რომლებიც ხორციელდება ეროვნულ, რეგიონულ ან თემის დონეზე. ადაპტაციას მჭიდროდ უკავშირდება მოწყვლადობის ცნება. ზოგადად, ადაპტაციის აუცილებლობა იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ესა თუ ის სისტემა (ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური) ამჟღავნებს მგრძნობიარობას გარემო პირობების შეცვლისადმი. ეს მგრძნობიარობა აისახება სისტემის ზოგიერთი ან ყველა პარამეტრის მნიშვნელოვან ცვლილებაში. როგორც წესი, სისტემებს აქვთ ბუნებრივი ადაპტაციის უნარი, რაც გულისხმობს სისტემის პარამეტრების გადაწყობას ისე, რომ აღდგეს დარღვეული წონასწორობა ან ჩამოყალიბდეს ახალი სახის წონასწორობის მდგომარეობა, ისე, რომ

[14] მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ.22 იხ.
http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf

სისტემამ არ განიცადოს რღვევა. როდესაც ბუნებრივი ადაპტაციის უნარი არ არის საკმარისი ამ ამოცანის გადასაჭრელად, მაშინ ითვლება, რომ სისტემა მოწყვლადია მოცემული ცვლილებების მიმართ. კლიმატის ცვლილების პროცესის სწრაფმა ტემპმა ბოლო ხანებში კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შესძინა ადაპტაციის მიმართულებას კონვენციით გათვალისწინებულ საქმიანობებს შორის. საადაპტაციო ღონისძიებების განხორციელებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოწყვლადი ქვეყნებისათვის (ოკეანიის ქვეყნები, ზღვისპირა ქვეყნები) კლიმატის ცვლილების მავნე შედეგებთან გასამკლავებლად. განვითარებადი ქვეყნები საჭიროებენ საერთაშორისო დახმარებას საადაპტაციო ღონისძიებების გასატარებლად. კონვენცია ავალდებულებს ქვეყნებს მოემზადონ კლიმატის ცვლილებისადმი სათანადო ადაპტაციისათვის და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები კლიმატის ცვლილების მავნე შედეგებთან დაკავშირებული დაფინანსების, დაზღვევისა და ტექნოლოგიების გადაცემის მიმართულებით. ამასთან, განვითარებული ქვეყნები უნდა დაეხმარონ განვითარებად ქვეყნებს ადაპტაციის ხარჯების დაფარვაში. ადაპტაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება კონვენციის ფინანსური მექანიზმის მეშვეობით, გლობალური გარემოს დაცვის ფონდის დახმარებით. ამ მიმართულებით არსებული ფონდები მოიცავს ტრასტულ ფონდს (კონვენციისადმი ეროვნული შეტყობინებების ფარგლებში მოწყვლადობისა და ადაპტაციის შესაფასებლად); სუსტად განვითარებული ქვეყნების ფონდს და სპეციალურ კლიმატის ცვლილების ფონდს.[15]

შტერნის ანგარიში

2006 წელს, ლონდონის ეკონომიკური სკოლის, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს გრანთემის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის თავჯდომარემ, ეკონომისტმა ნიკოლას შტერნმა გამოაქვეყნა 700 გვერდიანი ანგარიში, რომელიც მიმოიხილავდა კლიმატის ცვლილების ზემოქმდებას მსოფლიო ეკონომიკაზე და განიხილავდა მას,

[15] მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ.24 იხ. http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf

როგორც ეკონომიკური განვითარების ყველაზე დიდ გამოწვევას. ანგარიშის მთავარი დასკვნა არის ის რომ რაც უფრო ადრე მოხდება ინვესტირება კლიმატის ცვლილების გამოწვევების აღმოსაფხვრელად, მით უფრო ნაკლები იქნება საბოლოო დანახარჯი და სარგებელი მსოფლიოსთვის. ანგარიშის თანახმად, ქმედების გარეშე, კლიმატის ცვლილების ყოველწლიური დანახარჯი სულ ცოტა მსოფლიო მშპ-ს 5%-ი დაჯდება. რისკებისა და ზემოქმედების ფართო სპექტრის გათვალისწინებით შესაძლებელია რომ ეს ციფრი 20%-მდე გაიზარდოს. შტერნის გათვლებით, თუ გაგრძელდება ე.წ. ჩვეულებრივი ბიზნესის მოდელი ამ შემთხვევაში, ტემპერატურის ზრდა 5-6 გრადუსი ცელსიუსით შესაძლებელია გაიზარდოს 2100 წლამდე. მიმოხილვის თანახმად, კლიმატის ცვლილების ყველაზე ცუდი შედეგების ასაცილებლად ყოველწლიურად დაახლოებით, 1%-ი გლობალური მშპ-ს ინვესტიციაა საჭირო. 2008 წელს, განახლებული ანგარიშის თანახმად, იმისთვის, რომ მივაღწიოთ 500 და 550 ppm ნახშიროჟანგის სტაბილიზაციას ატმოსფეროში საჭირო იყო 2% of GDP ინვესტიცია, ვინაიდან კლიმატის ცვლილების პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.[16]

1.2 გარემოსდაცვითი პოლიტიკა საქართველოში

გარემოს დაცვითი პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს სამთავრობო პროგრამა, რომელსაც ამტკიცებს პარლამენტი მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებასთან ერთად, ასევე, ჩარჩო კანონები და მთავრობისა თუ პარლამენტის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული დოკუმენტები. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავების მცდელობა სათავეს იღებს 90-იანი წლებიდან; ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. გაცნობიერებული იქნა რა სუფთა გარემოს როლი ადამიანის ჯანმრთელობისათვის, საქართველოს კონსტიტუციაში, რომელიც მიღებული იქნა 1995 წელს, ადამიანის ერთ-ერთ უფლებად სწორედ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება განისაზღვრა. 1996 წელს

[16] მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ.26 იხ. http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს ჩარჩო კანონს და განსაზღვრავს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის ძირითად პრინციპებს ქვეყანაში. 1996 წლიდან მოყოლებული დღემდე გარემოს დაცვის სფეროში შემუშავდა ბევრი საკანონმდებლო აქტი და სტრატეგიული შინაარსის დოკუმენტი, რომელთა მიზანს გარემოს დაცვის ამა თუ იმ სფეროს დარეგულირება და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება წარმოადგენდა.

აღსანიშნავია, რომ 90-იანი წლების ბოლოსა და 2000-იანი წლების დასაწყისში შემუშავებული კანონები საკმაოდ პროგრესული იყო და, ზოგ შემთხვევაში, შესაბამისობაშიც იყო ევროკავშირის რეგულაციებთან. ძნელია საუბარი კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების აღსრულების ეფექტიანობაზე იმ პერიოდში, თუმცა ეს ეტაპი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შემუშავების თვალსაზრისით, საკმაოდ წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. 2000-იანი წლების მეორე ნახევრიდან, სახელმწიფომ მთავარ პრიორიტეტად დაისახა რა ეკონომიკური განვითარება, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა დამაბრკოლებელ ფაქტორად იქნა მიჩნეული; მიუხედავად სიტყვიერად დეკლარირებული დადებითი მიდგომებისა, რეალობაში, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დაკნინებას ჰქონდა ადგილი. 2005 წლიდან საკანონმდებლო ცვლილებები ხშირ შემთხვევაში ევროპულ და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებულ მიდგომებიდან დაცილება უფრო იყო, ვიდრე დაახლოების პროცესი. ამის მაგალითებად შეიძლება დასახელდეს ცვლილებები კანონში: გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ, კანონში ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, რის მიხედვითაც გაუქმდა წყალაღებისა და წყალჩაშვების ნებართვა, ასევე, ცვლილებები გარემოს დაცვის კანონში, რომლის მიხედვითაც გარემოზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ სუბიექტს ენერგეტიკის სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმებისა და გარეკვეულ თანხაზე შეთანხმების საშულება ეძლეოდა. ერთი მხრივ, უხეში საკანონმდებლო ხარვეზების გასწორება, და, მეორე მხრივ, ახალი კანონების

პროექტების შემუშავებისა თუ კონცეპტუალური ცვლილებების შეტანის პროცესი გარემოსდაცვით კანონმდებლობაში დაიწყო 2013 წლიდან.[17]

სამთავრობო პროგრამა და ეროვნულიკანონმდებლობა 2013 წლის ნოემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული სამთავრობო პროგრამა, სხვა მიმართულებებთან ერთად, განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში. ევროკავშირისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული გარემოსდაცვითი პრინციპებისა და სტანდარტების დანერგვა, გარემოსდაცვითი სამართლებრივ - ნორმატიული ბაზის დახვეწა, ბიომრავალფეროვნების დაცვა და დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოება, ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა, სატყეო რეფორმის გატარება, მონიტორინგის ქსელის გაფართოება, უკანონო საქმიანობის ზედამხედველობის სისტემის გამართვა, გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობა - ასეთია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში მთავრობის პროგრამით დამტკიცებული საკითხების არასრული ჩამონათვალი.

საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობა, გარემოს დაცვის შესახებ ჩარჩო კანონის გარდა, მოიცავს მრავალ დარგობრივ კანონსა და კანონქვემდებარე აქტს. წლების განმავლობაში გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებული ხშირი სტრუქტურული და ინსტიტუციური ცვლილებებიდან გამომდინარე, შესაბამისი ცლილებები შედიოდა საკანონმდებლო აქტებში, რაც ხშირ შემთხვევაში წარმოადგენდა არა ერთიანი, კარგად გააზრებული სტარტეგიის განხორციელების ნაწილს, არამედ კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე მორგებას. ამის გამო, ზოგიერთი კანონი (მაგალითად, ტყის კოდექსი, წყლის კანონი, წიაღის კანონი და სხვ.) ფაქტობრივად აღარ მუშაობს და ხშირად, კონკრეტული საკითხების დარეგულირება მხოლოდ კანონქვემდებარე აქტებით ხდება.დღეისათვის გარემოს დაცვის სფეროს რეგულირება ხდება 50-მდე კანონით. ბოლო პერიოდში შემუშავდა და პარლამენტის

[17] საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2015-2016 იხ.
http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28553/Environment_Strategic_Action_Plan_13

მიერ დამტკიცდა რამდენიმე ახალი კანონი, რომელთაგან აღსანიშნავია კანონი ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორეიების შექმნისა და მართვის შესახებ, კანონი ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ და ნარჩენების მართვის კოდექსი.

საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველოში გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც სხვადახვა მიმართულებით გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ქვეყანას; დოკუმენტი, რომელიც მომდევნო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყანაში გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირების პროცესს, არის ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს DCFTA კომპონენტს. დოკუმენტს ხელი 2014 წლის 27 ივნისს მოეწერა და 2014 წლის 18 ივლისს რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ. ასოცირების ხელშეკრულების ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხრიდან რატიფიცირებისა, და შესაბამისად, მისი ძალაში შესვლის შემდეგ, აუცილებელია მოხდეს საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი ჰარმონიზაცია ევროკავშირის დირექტივების კონკრეტულ დებულებებთან, მათ შორის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში. კერძოდ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები მოიცავს ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების მართვის, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის, ბიომრავალფეროვნების დაცვის, მათ შორის სატყეო სექტორის, სამრეწველო რისკების, ასევე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებს. [18]

გარდა ასოცირების ხელშეკრულებისა, საქართველოს ვალდებულებები აქვს აღებული სხვადასხვა მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებით გარემოს დაცვის სფეროში. 2014 წლის მდგომარეობით საქართველო არის 30-ზე მეტი მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების მხარე ქვეყანა გარემოს დაცვის სფეროში, საიდანაც უმეტესობაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურად გარემოსა და ბუნებრივი

[18] http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28553/Environment_Strategic_Action_Plan_13 საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2015-2016

რესურსების დაცვის სამინისტროა განსაზღვრული. დამატებით, მიმდინარეობს მუშაობა ორი, ხოლო შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში ათზე მეტი ხელშეკრულების რატიფიცირებაზე.[19]

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული მოთხოვნები იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები (გარდა კონსტიტუციისა). თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, სახელმწიფოს მხრიდან საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების აღსრულებისათვის, მნიშვნელოვანია ამ მოთხოვნების ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში ასახვა. ასევე, მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი და ზედამხედველობა პარლამენტის მხრიდან.

სტრატეგიული დოკუმენტები

აღსანიშნავია გარემოს დაცვის სფეროში არსებული გეგმარებითი სახის დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ გარემოს დაცვის მიმართულებით, ან უფრო კონკრეტული სფეროების მიხედვით ქვეყანაში დაგეგმილ ღონისძიებებს. ზოგი დოკუმენტი ზოგადია და გადმოსცემს ქვეყნის სტრატეგიულ ხედვას, რომელსაც უნდა დაეფუძნოს სამომავლოდ კონკრეტული სამოქმედო გეგმა (მაგ., ეროვნული სატყეო კონცეფცია), ხოლო ზოგი უფრო დეტალურია თავისი მიზნებითა და კონკრეტული, დროში გაწერილი ღონისძიებებით (მაგ.საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (NBSAP)). დამტკიცებულ და დღეის მდგომარეობით მოქმედ დოკუმენტებს შორის აღსანიშნავია:

- საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021წ საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა წინამდებარე პროგრამაში (შემდგომში -საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე პროგრამა) ასახულია

[19] http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28553/Environment_Strategic_Action_Plan_13
საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2015-2016

საქართველოს გარემოსდაცვითი პრიორიტეტები და განსაზღვრულია სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნები, უახლოეს 5 წელიწადში განსახორციელებელი ამოცანები და კონკრეტული ქმედებები, რომლებიც აუცილებელია გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

- საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა - მოიცავს 2014-2020 წლებს და წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ დოკუმენტს ქვეყანაში ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების თვალსაზრისით;
- ქვეყნის გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა - მოიცავს 2014-2022 წლების პერიოდს და მისი მიზანია ქვეყანაში არსებული გაუდაბნოებისა და ნიადაგის დეგრადაციის პროცესების შერბილების ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება მომდევნო 9 წლის განმავლობაში.
- საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია - დოკუმენტი დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის მიერ და მისი მიზანია ქვეყანაში მდგრადი სატყეო სექტორის შექმნისათვის პოლიტიკური საფუძვლის შექმნა.[20]

გარემოს დაცვისა და სოციალური სფეროების მეცნიერების დასკვნებით, გარემოსთან დაკავშირებული ამ და სხვა პრობლემების ხუთი მთავარი გამომწვევი მიზეზი არსებობს, ესენია: მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რესურსების უყაირათოდ და არამდგრადად გამოყენება, სიღარიბე, გარემოს გაუარესებით გამოწვეული დანახარჯების აუსახველობა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში და ცოდნის ნაკლებობა გარემოში მიმდინარე პროცესებზე. მოსახლეობის ექსპონენციალური ზრდის საკითხი ზემოთ უკვე განხილულია, ამდენად ქვემოთ მოკლედ მიმოხილულია დანარჩენი ოთხი მიზეზი. სიღარიბე გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს სიღარიბეს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადამიანები ვერ იკმაყოფილებენ თავის ძირითად მოთხოვნებს საკვებზე, წყალზე, თავშესაფარზე, ჯანმრთელობასა და განათლებაზე. სიღარიბე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე. მსოფლიოს მოსახლეობის ის ნახევარი, რომელიც ცდილობს იცხოვროს დღეში ორ დოლარზე

[20] https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld

ნაკლები თანხით, იბრძვის საკვების, წყლისა და საკვების მოსამზადებლად და გასათბობად აუცილებელი საწვავის მოსაპოვებლად. გადასარჩენად, ამ ადამიანების ნაწილი გადაჭარბებულად მოიხმარს ტყეს, საძოვრებს, თევზის რესურსებს და ველურ ცხოველებს, რაც გარემოს დეგრადირებას იწვევს. მათ არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ იფიქრონ გარემოს ხარისხზე გრძელვადიან პერსპექტივაში ან მდგრადობაზე. სიღარიბე გავლენას ახდენს მოსახლეობის ზრდაზე. ღარიბების დიდი ნაწილისთვის გადარჩენის საშუალება ბევრი შვილის ყოლაა. ბავშვები მათ ეხმარებიან გათბობის საშუალებების შეგროვებაში (როგორიცაა შეშა და ცხოველის ნაკელი) ასევე სასმელი წყლის, მარცვლეული კულტურებისა და შინაური საქონელის მოვლაში. ბავშვები მათ, აგრეთვე, ეხმარებიან როდესაც ისინი ხანდაზმულობის ასაკს (ღარიბ ქვეყნებში - საშუალოდ 40-50 წელი) აღწევენ, რადგან ისინი არ არიან სოციალურად დაცული, არ არიან უზრუნველყოფილი ჯანმრთელობის დაცვითა და პენსიით. როგორც სიღარიბე ახდენს გავლენას გარემოს დეგრადაციაზე, ასევე პირიქით, დაბინძურება და გარემოს დეგრადაცია ძლიერ ზეგავლენას ახდენს ღარიბებზე და შეუძლია გაზარდოს კიდეც სიღარიბე. შესაბამისად, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, ღარიბი ადამიანები ადრეულ ასაკში იღუპებიან ისეთი დაავადებების გამო, რომელთა პრევენცია, შესაძლებელია. საგულისხმოა, რომ სიღარიბესთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და სოციალური პრობლემები შეიძლება გადაიჭრას 20-30 წლისგანმავლობაში, თუ ამ პრობლემის გადაჭრისათვის იარსებებს რეალური პოლიტიკური და ეთიკური ნება. სიმდიდრე გარემოზე დადებითად და უარყოფითად მოქმედებს სიღარიბეს გარემოზე სერიოზული ზეგავლენა აქვს, სიმდიდრეს კი, უარესი. ბევრ განვითარებულ და სწრაფად განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი, მდიდრები იყენებენ დიდი რაოდენობით რესურსებს და წარმოქმნიან ასევე დიდი რაოდენობით ნარჩენს. ასეთი სიმდიდრე დამყარებულია მასობრივი საშუალებებით რეკლამირებულ მოსაზრებაზე, რომ ადამიანთა ბედნიერებისათვის აუცილებელია უფრო და უფრო მეტი ნივთის ყიდვა. ასეთი ტიპის სიმდიდრეს გარემოზე მაღალი უარყოფითი ზეგავლენა აქვს. გამოთვლილია, რომ ერთი წლის განმავლობაში ერთი ამერიკელი მოქალაქის გამოსაკვებად და ცხოვრების პირობების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 27 ტრაილერის ტვირთის ოდენობის რესურსი,

მთლიანად აშშ მოსახლეობისათვის კი 7,9 მილიარდი წელიწადში. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს მოსახლეობა ინდოეთის მოსახლეობაზე ნაკლებია, აშშ-ში მოიხმარენ 30-ჯერ მეტ რესურსებს, ვიდრე ინდოეთის მოსახლეობა და 100-ჯერ მეტს, ვიდრე ღარიბი ქვეყნები. შედეგად, აშშ-ს ერთი მოქალაქის გარემოზე ზეგავლენა და მის მიერ დატოვებული ეკოლოგიური ნაკვალევი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებადი ქვეყნების მოქალაქეების. სიმდიდრესა და გარემოს ხარისხს შორის ზემოაღწერილი კავშირის გარდა, არსებობს სხვაგვარი კავშირიც - სიმდიდრე იძლევა იმის საშუალებას, ადამიანები უფრო მეტად დაინტერესდნენ გარემოს ხარისხით. სიმდიდრე იძლევა ახალი ტექნოლოგიების განვითარების შესაძლებლობას გარემოში დამაბინძურებლების გაფრქვევის, გარემოს დეგრადაციისა და რესურსების უყაირათოდ გამოყენების შესამცირებლად. აშშ-ში და ბევრ მდიდარ ქვეყნაში ჰაერი, წყალი, მდინარეებისა და ტბების უმრავლესობა უფრო სუფთაა ვიდრე 1970-იან წლებში იყო. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში საკვების ნაკლებობა, ისევე როგორც საკვების უსაფრთხოება ნაკლებად პრობლემურია, ასევე მნიშვნელოვნად შემცირებულია სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელი ინფექციური დაავადებების შემთხვევების რაოდენობა, გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა და გადარჩენილ იქნა გადაშენების წინაშე მყოფი არაერთი სახეობა.

ამგვარად, სიმდიდრე იძლევა შესაძლებლობას, დაფინანსდეს გარემოს ხარისხის გასაუმჯობესებლი ღონისძიებები, რომლებიც გამყარებულია მეცნიერული კვლევებითა და ტექნოლოგიურ მიღწევებით. განათლების სფეროში გაუმჯობესებებმა განაპირობეს ის, რომ მოქალაქეები მოითხოვენ ბიზნესისგან და არჩეული თანამდებობის პირებისგან ღონისძიებების გატარებას გარემოს ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ბევრ განვითარებულ ქვეყანაში განათლებამ და სიმდიდრემ აგრეთვე ხელი შეუწყო მოსახლეობის ზრდის შემცირებას. ამასთან, აღნიშნულითან ერთად, გასათვალისწინებელია სიმდიდრის მეორე, უარყოფითი მხარე - სიმდიდრე აძლევს „მდიდრებს“ იმის საშუალებას, რომ მსოფლიოს თითქმის ნებისმიერ ადგილზე მოიპოვონ რესურსები, თანაც ისე, რომ ვერც კი დაინახონ თავისი მომხმარებლური მიდგომით გამოწვეული, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შედეგები. ფასები ბუნებრივი კაპიტალის ღირებულებას არ მოიცავს როდესაც კომპანიები მოიხმარენ

რესურსებს მომხმარებელთა პროდუქტითა და მომსახურებით დასაკმაყოფილებლად, მათ როგორც წესი, არ მოეთხოვებათ რესურსების გამოყენებით გამოწვეული გარემოსთან დაკავშირებული დანახარჯების ანაზღაურება. მაგალითად, თევზმჭერი კომპანიები იხდიან თევზჭერის ღირებულების საფასურს, მაგრამ არ იხდიან გამოლეული თევზების მარაგის საზღაურს. ანალოგიურად, ხე-ტყის გადამამუშავებელი კომპანია იხდის მოჭრილი ხის საფასურს, მაგრამ არ ანაზღაურებს ტყის ჭრით გამოწვეული გარემოს დეგრადაციისა და დაკარგული ბუნებრივი ჰაბიტატების ღირებულებას. ამ კომპანიების მთავარი მიზანი მაქსიმალური მოგების მიღებაა, ამდენად, ისინი ნებაყოფლობით არ გადაიხდიან გარემოსთვის მიყენებული ზიანის საფასურს; ისინი არც კი შეეცდებიან, რომ დაითვალონ (შეაფასონ) ზიანი, თუ ეს მათ არ მოეთხოვათ კანონმდებლობით. შედეგად, მომხმარებელთა მიერ საქონლისა და მომსახურებისათვის გადახდილი თანხა არ მოიცავს გარემოსთვის მიყენებული ზიანის საფასურს. მომხმარებლები, როგორც წესი, ვერც კი აცნობიერებენ, რა ზიანს აყენებენ დედამიწის სასიცოცხლო სისტემებს და საკუთარ ჯანმრთელობას. მეორე პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობები ხშირად კომპანიებს უწესებენ საგადასახადო შეღავათებს ან გამოყოფენ სუბსიდიებს რესურსის ასათვისებელი ბიზნესის ხელშესაწყობად. ასეთი მიდგომები იძლევა სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის შესაძლებლობას, თუმცა, ამავდროულად, მათ შეიძლება ხელი შეუწყონ ბუნებრივი კაპიტალის დეგრადაციას, რადგან ბუნებრივი კაპიტალის გაუფასურებით გამოწვეული დანახარჯები არ აისახება საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში. ადამიანებს გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემებზე და მათი გადაწყვეტის გზებზე განსხვავებული შეხედულება აქვთ აზრთა სხვადასხვაობა გარემოსთან დაკავშირებულ პრობლემების სიმწვავეზე და მათი გადაწყვეტის გზებზე ძირითადად გამოწვეულია განსხვავებებით ადამიანთა მსოფლმხედველობაში. გარემოსთან კავშირში, მსოფლხედველობა არის ჩვენი მოსაზრებებისა და ფასეულობების ნაკრები იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს მსოფლიო/გარემო და რა როლი გვაკისრია ჩვენ. მსოფლმხედველობა მოიცავს ასევე ეთიკის საკითხებს - ჩვენს რწმენას იმის შესახებ, რას ვთვლით სწორ და არასწორ ქმედებად გარემოს მიმართ. ქვემოთ მოყვანილია გარემოსთან და ეთიკასთან

დაკავშირებული რამოდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა: რატომ უნდა ვიზრუნოთ გარემოზე? არის თუ არა ადამიანი პლანეტის ყველაზე მნიშვნელოვანი ქმნილება, თუ ის მხოლოდ ერთ-ერთია დედამიწაზე არსებულ სიცოცხლის მილიონობით ფორმას შორის? ვართ, თუ არა ვალდებული ვიმოქმედოთ ისე, რომ ჩვენი საქმიანობით არ გამოვიწვიოთ სხვა სახეობების გადაშენება? უნდა ჰქონდეს, თუ არა ყველა ადამიანს თანაბარი უფლება, დაცული იყოს გარემოს საფრთხეებისგან, მიუხედავად რასისა, სქესისა, ასაკისა, ეროვნებისა, შემოსავლის ოდენობისა და სოციალური მდგომარეობისა, ან სხვა რაიმე ნიშნისა? სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანები შეიძლება ეყრდნობოდნენ ერთი და იგივე მონაცემებს, მსჯელობისას მიჰყვებოდნენ ლოგიკურ ჯაჭვს, მაგრამ საბოლოოდ მივიდნენ საკმაოდ განსხვავებულ დასკვნებამდე. ეს ხდება იმის გამო, რომ ისინი ამ პროცესს იწყებენ განსხვავებული შეხედულებებით, მორალით, ეთიკითა და რელიგიური რწმენით. გარემოსთან მიმართებაში, ასხვავებენ მსოფლმხედველობის სამ პირობით სახეს, რომლებიც ქვემოთ მოკლედაა აღწერილი. პლანეტის მართვის მსოფლმხედველობა - ეს მიმდინარეობა ადამიანებს ბუნებისგან განცალკევებულად აყენებს. ბუნება განიხილება როგორც მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა საჭიროებების და სურვილების დაკმაყოფილების საშუალება. ადამიანმა უნდა მიმართოს თავისი გამომგონებლობა და ტექნოლოგიები დედამიწის სასიცოცხლო სისტემების უსასრულოდ სამართავად ადამიანთა კეთილდღეობისთვის. ხელმძღვანელის მსოფლმხედველობა გულისხმობს, რომ ადამიანებს შეუძლიათ და უნდა მართონ კიდეც დედამიწა კაცობრიობის სასარგებლოდ, მაგრამ ამასთანავე ადამიანებს აქვთ ეთიკური პასუხისმგებლობა, რომ იზრუნონ დედამიწაზე, სხვა სიტყვებით, იყვნენ პასუხისმგებლიანი ხელმძღვანელები. ადამიანებმა ხელი უნდა შეუწყონ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების გარემოსდაცვითი თვალსაზრისით სასარგებლო ფორმებს, და ამასთანავე, უარი თქვან გარემოსთვის საზიანო ფორმებზე. ბრძნული გარემოსდაცვითი მსოფლმხედველობა გულისხმობს, რომ ადამიანი ბუნების ნაწილია და მასზეა დამოკიდებულები; ბუნება არსებობს არამარტო ადამიანებისთვის, არამედ ყველა სახეობისთვის. ეს მსოფლმხედველობა მოგვიწოდებს, რომ ხელი უნდა შევუწყოთ დედამიწის სასიცოცხლო სისტემების მხარდამჭერ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მოდელებს და უარი ვთქვათ იმ ფორმებზე, რომლებიც იწვევენ

დედამიწის დეგრადაციას. ამ მსოფლმხედველობის მიხედვით, კაცობრიობის წარმატება დამოკიდებულია ადამიანთა უნარზე, ისწავლოს, თუ როგორ ნარჩუნდება სიცოცხლე დედამიწაზე და მოახდინოს ამ გარემოსდაცვითი სიბრძნის ინტეგრირება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანთა აზრებსა და ქმედებებში.

ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ ინფორმირებული გარემოსდაცვითი გადაწვეტილებების მიღება გარემოსთან დაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად გადადგმული პირველი ნაბიჯია პრობლემის არსის დასადგენად სამეცნიერო კვლევების ჩატარება და მისი მოგვარების გზების პოვნა. ამის შემდეგ, პრობლემის მოგვარების ყოველი შესაძლო გზა უნდა შეფასდეს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაქტორების გათვალისწინებით. ეს ეტაპი მოიცავს ადამიანთა ფასეულობების გათვალისწინებასაც. აქ უნდა დაისვას ისეთი კითხვები, როგორიცაა: როგორია პროექტის გრძელვადიანი და მოკლევადიანი დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, ეკონომიკასა და ჯანმრთელობაზე? რა იქნება ამ ყველაფრის ფასი? არის თუ არა ეს ეთიკური? და ა.შ.

1.3. გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები

აღმასრულებელი ხელისუფლება

გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელია **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.** თუმცა, გარკვეული ფუნქციები ამ მიმართულებით გააჩნიათ სხვა სამინისტროებსა და თვითმმართველობის ორგანოებსაც. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა და გაზისა) სარგებლობის სახელმწიფო მართვა და სახელმწიფო კონტროლი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგი, ბირთვული და რადიაციული საქმიანობის რეგულირება, ატმოსფერული ჰაერთან, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება, ასევე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, ნარჩენების მართვის ორგანიზება, ნიადაგის დეგრადაციის წინააღმდეგ ზომების მიღება, დაცული ტერიტორიების

სისტემების მართვა, მდგრადი სატყეო მეურნეობის უზრუნველყოფა, ასევე, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა საქმიანობების წარმოება.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო პასუხისმგებელია სასურსათო უსაფრთხოების ნორმებზე, მათ შორის სასმელი წყლის ხარისხის კონტროლზე; ასევე, ნიადაგის კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობაზე, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების გამოცდის ორგანიზებასა და რეგისტრაციაზე, მათი საჭიროების პროგნოზირებაზე. ამასთანავე, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მისი დებულების მიხედვით შეიმუშავებს მეთევზეობის პოლიტიკას ქვეყანაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე. კერძოდ, სამინისტრო ადგენს ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ხარისხობრივ ნორმებს სასმელ წყალსა და ჰაერში, ასევე მაიონიზირებელი რადიაციის კუთხით.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო , მისი დებულების შესაბამისად, პასუხისმგებელია მყარი ნარჩენების მართვაზე (გარდა თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა). კერძოდ, მის დაქვემდებარებაში არსებული შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“ პასუხისმგებელია საქართველოს მასშტაბით არსებული ნაგავსაყრელების მოწყობასა და ოპერირებაზე.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, დებულების მიხედვით, უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას ენერგეტიკის დარგში და ახორციელებს ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, სტრატეგიისა და პროგრამების შესრულების მონიტორინგს; ასევე ხელს უწყობს ენერგეტიკული რესურსების მოპოვების გაფართოებას, განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისებას, ენერგოეფექტურ ღონისძიებათა განხორციელებას.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ს ამინისტროს საქმიანობის ძირითად სფეროებს, სხვა საკითხებთან ერთად, განეკუთვნება ურბანული განვითარება და სივრცითტერიტორიული მოწყობა. სამინისტროს ამოცანაა ეკონომიკური

პოლიტიკის შემუშავება მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. სამინისტრო გასცემს მშენებლობის ნებართვას გარკვეული კატეგორიის საქმიანობებზე, რომლის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი, რიგ შემთხვევებში, არის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საქართველოს მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საგარეო ხელშემწყობი პირობების ფორმირება; სამინისტრო განსაზღვრავს სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, გარემოს დაცვის სფეროში, საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების მიზანშეწონილობას და კოორდინაციას უწევს მათ მომზადებას. სამინისტროს ფუნქციაა საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების საერთო ზედამხედველობაც. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი კოორდინაციას უწევს სახელმწიფო უწყებებისა და სამსახურების ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებულ საქმიანობას. კერძოდ, სახელმწიფო აპარატი უზრუნველყოფს სახელმწიფოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების კოორდინაციასა და მონიტორინგს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საგარეო საქმეთა სამინისტროებთან მჭიდრო თანამშრომლობთ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქმიანობის სფეროა სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ამ მიმართულებით. სამინისტრო ზოგადი განათლების საფეხურზე ფორმალური განათლების მიმართულებით შეიმუშავებს ეროვნულ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი განათლების საკითხები.

ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა კანონით დადგენილი წესით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, პარკების, სკვერებისა და სხვა საჯარო ადგილების დასუფთავება; თვითმმართველობების ფუნქციაა, ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

გამწვანებითი სამუშაოების წარმოება. ადგილობრივი თვითმმართველობები გასცემენ ზოგიერთი კატეგორიის საქმიანობაზე მშენებლობის ნებართვას, რომლის შემადგენელი ნაწილი, საქმიანობის ტიპიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

არასამთავრობო ორგანიზაციები

საქართველოში საკმაოდ კარგად არის განვითარებული გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორი. არასამთავრობო ორგანიზაციების დიდი ნაწილი თბილისში ფუნქციონირებს და ეს ბუნებრივიცაა. თუმცა, საკმაოდ აქტიურია არასამთავრობო სექტორი ზოგიერთ რეგიონში, მაგალითად იმერეთსა და კახეთში. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის სფერო ფართოა და ისინი გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ თემატიკაზე მუშაობენ, თუმცა რამდენიმე მათგანის საქმიანობა ერთ ან ორ კონკრეტულ საკითხზეა ფოკუსირებული. არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი სამოქმედო არეალი გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა. ცნობიერების ამაღლების გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითად მუშაობენ ბიომრავალფეროვნების დაცვის, ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის, წყლის რესურსებისა და ნარჩენების მართვის, ბიოაგროტექნოლოგიების დანერგვისა და ბიომეურნეობების, ასევე გარემოსდაცვითი ადვოკატირების საკითხებზე.

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები

დღეისათვის ქვეყანაში 20-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია, რომელთა საქმიანობის ძირითადი მიმართულება გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხებია. ამ საკითხთაგან დომინირებს გეოლოგია - სეისმოლოგიასთან დკავშირებული, ასევე რადიაციული უსაფრთხოების, ბიომრავალფეროვნების, ნიადაგისა და წყლის პრობლემატიკა. დონორი ორგანიზაციები, განვითარებული ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად უჭერენ მხარს გარემოს დაცვის სფეროში მიმდინარე პროცესებს. ძირითადი დონორები ამ მიმართულებით არიან: ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანიის ფედერაციული

რესპუბლიკა, ავსტრიის რესპუბლიკა, ნიდერლანდების სამეფო, იაპონია, ჩეხეთის რესპუბლიკა. გარემოსდაცვით პროექტების დაფინანსება ხდება სხვადასხვა ფონდიდანაც, როგორიცაა მაგალითად, გლობალური გარემოს დაცვის ფონდი, კავკასიის ბუნების ფონდი, მონრეალის ოქმის განხორციელების ფონდი და სხვ. როგორც დაფინანსების, ისე განხორციელების კუთხით, აქტიური მხარდაჭერაა გაეროს განვითარების პროგრამის, მსოფლიო ბანკის, გარემო და უსაფრთხოების ინიციატივისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. [21]

[21] http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28553/Environment_Strategic_Action_Plan_13
პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2015-2016

II თავი

მწვანე პოლიტიკა და მდგრადი განვითარება

2.1. გლობალური მწვანე პოლიტიკა

თანამედროვე გარემოსდაცვითი მოძრაობა სათავეს იღებს მე-20 საუკუნის 50, 60 და 70-იან წლებში, რასაც სათავე დაუდო რამოდენიმე ინციდენტმა, რომელმაც მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერება. ეს იყო როგორც კალიფორნიის სანაპიროსთან კატასტროფულმა ნავთობის დაღვრამ, ასევე ატომური იარაღის გამოცდის შედეგები, დიდი ქალაქების ატმოსფერული ჰაერის კატასტროფულმა დაბინძურებამ, ფერმებისა და ტყეების განადგურება ქალაქების ზრდის ხარჯზე და ა.შ. 63 წელს ქვეყნდება მეცნიერის რეიჩელ კარსონის წიგნის „მდუმარე გაზაფხული“, რომლემაც ფაქტობრივად რევოლუციური წვლილი შეიტანა თანამედროვე გარემოსდაცვითი მოძრაობის ჩამოყალიბებაში. კარსონმა მოახერხა, უკვე არსებული ფაქტების საფუძველზე თვალნათვლივ ეჩვენება, რომ ბიოსფეროში მოხვედრის შემდეგ პესტიციდი DDT არა მხოლოდ კლავს „მავნებელ მწერს“, არამედ ხვდება საკვების ჯაჭვში, რის შედეგადაც იწამლება არა მხოლოდ ჩიტი და თევზი, არამედ საბოლოოდ ავადებს ბავშვებს. 60–იანი წლების კონტრკულტურა გახდა როგორც მწვანეთა პარტიების პოლიტიკის, ასევე უფრო ფართოდ მწვანე მოძრაობის იდეოლოგიის ნაწილი. კონტრკულტურა ეყრდნობოდა ისეთ რადიკალურ მოაზროვნეებს, როგორებიც იყვნენ ჰერბერტ მარკუსი და ერიხ ფრომი, ფრანკფურტის სკოლიდან. კონტრკულტურა გმობს კაპიტალიზმს არა მხოლოდ მუშათა ექსპლუატაციის გამო, არამედ იმიტომაც რომ ის ახდენს ადამიანის დეჰუმანიზაციას, აყალიბებს მას როგორც პასიურ მომხმარებელს და აბინძურებს გარემოს. კონტრკულტურის სხვა წარმომადგენელებს, მაგ. ალდოს ჰაქსლის და ჰერმან ჰესეს, ასევე ჰქონდათ გავლენა მწვანე პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. ჰაქსლის რომანი, უტოპია კუნძული, წარმოადგენს გარკვეული თვალსაზრისით მწვანე სახელმძღვანელოს, რომელიც ასახავს საზოგადოებრივი განვითარების მრავალ ასპექტს, მათ შორის განათლების, სულიერების, ოჯახის და სხვა. ჩარლზ რეიჩის წიგნმა, ამერიკის გამწვანება

(The Greening of America), და თეოდორე როზაკის, სად მთავრდება ნაგავსაყრელი (Where the Wasteland Ends Theodore Roszak's) ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მწვანეთა მოძრაობის ჩამოყალიბებაში.

მწვანეთა პარტიები ადრეულ 70–იან წლებში ჩაისახა, 80–იან წლებში კი, გაიზარდა და ჩამოყალიბდა. დღეს მწვანე პოლიტიკა გლობალური მოვლენაა. მისი მთავარი ფოკუსი გარემოს დაცვაა, რათა მოხდეს პლანეტის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის. თუმცა, მწვანე პოლიტიკა თავისთავად უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ გარემოს დაცვა. მწვანე იდეოლოგია, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია მიზნად ისახავს ჩამოაყალიბოს მდგრადი საზოგადოება, რომელიც ეფუძნება გარემოს დაცვას, სოციალურ ლიბერალიზმსა და მონაწილეობით დემოკრატიას. შესაბამისად, ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პოსტულატს, მათ შორის:

1. **ეკოლოგია** - მწვანე პოლიტიკის მთავარი და ამოსავალი წერტილი არის ეკოლოგიური პოლიტიკა, რომელიც მოგვცემს საშუალებას დავიცვათ დედამიწა მომხმარებლური დამოკიდებულებისგან და ვუზრუნველყოთ მომავალი თაობებისთვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება;

2. სოციალური სამართლიანობა - გარემოს დაცვა არ შეიძლება განხორციელდეს ღარიბების ხარჯზე და/ან მიგვიყვანოს სოციალურ უთანასწორობამდე;

3. მონაწილეობითი დემოკრატია - მწვანე პოლიტიკის თანახმად აუცილებელია ხალხის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში. გლობალური მწვანე პოლიტიკა ემხრობა დეცენტრალიზაციას, რითიც ის ძირეულად განსხვავდება ტრადიციული სოციალისტური იდეოლოგიისაგან, რომელიც ძირითადად საზოგადეობის ცენტრალიზებულ მართვას ემხრობა.

4. არა-ძალადობას - მწვანე პარტიათა შეხედულებები ეფუძნება სამშვიდობო მოძრაობებს და ეწინააღმდეგება ომს, იარაღით ვაჭრობის და ძალის გამოყენებაზე დამყარებულ გადაწყვეტილების მიღების გზებს.

მწვანე ფილოსოფია

მწვანეები იზიარებენ ძირითად ფილოსოფიას, რომლის ცენტრალური ამოსავალი წერტილი ადამიანების ბუნებასთან დამოკიდებულებაა. თუმცა პოლიტიკური პრინციპები რომელიც ამ ფილოსოფიიდან გამომდინარეობს შესაძლებელია პრინციპულად იყოს განსხვავებული - ეკოფემინიზმიდან ეკოანარქიზმამდე და ეკოსოციალიზმისგან ეკოფაშიზმამდე. მწვანე პოლიტიკა ეყრდნობა მკაფიო ფილოსოფიას, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთდაკავშირებულ ეთიკურ საკითხებზე, რომლებიც ხშირად იგნორირებული ან მივიწყებულია სხვა იდეოლოგიების, მათ შორის ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის, მიერ. მწვანე ფილოსოფიის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი არის ეკოცენტრული მიდგომა. მაშინ როდესაც სხვა პოლიტიკური იდეოლოგიები განიხილავენ ბუნებას, როგორც გარკვეული ტიპის რესურს, რომელიც შეიძლება გამოყენებული და მოხმარებული იყოს მოკლევადიანი სარგებლისთვის. - მწვანეებისთვის გარემო და ბუნება მათი ინტერესის ცენტრალური საკითხია. ეკოცენტრული ელემენტი მწვანე ფილოსოფიაში ხაზს უსვამს, რომ სხვა სახეობები და ასევე თავად დედამიწა, არის მუდმივი ღირებულება და ისინი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც უბრალო ინსტრუმენტები, რომელთაც სარგებლობა მოაქვთ კაცობრიობისთვის. ანუ დღეს არსებული გარემოსდაცვითი პრობლემები, საფრთხესაც რომ არ უქმნიდეს კაცობრიობის არსებობას, მწვანეებისთვის პრიორიტეტულია, რადგან ის საფრთხეს უქმნის დედამიწის მრავალფეროვნებას და მშვენიერებას.

მწვანე ფილოსოფიის თანახმად, ადამიანის და სხვა ბუნების შვილთა სიცოცხლე და კეთილდღეობა დედამიწაზე, თავისთავად ღირებულებაა.

სარგებლობა მოაქვს დედამიწას და მის რესურსებს კაცობრიობის მიზნებისთვის, შესაბამისად, კაცობრიობას არა აქვს უფლება გაანადგუროს დედამიწაზე არსებული რესურსების (როგორც ბიოლოგიური, ასევე არაბიოლოგიური) მრავალფეროვნება საკუთარი სასიცოცხლო მიზნების დაკმაყოფილებისთვის. მწვანეებს მიაჩნიათ, რომ მათ უნდა შეუნარჩუნონ მომავალ თაობებს დედამიწაზე არსებული მრავალფეროვნება. ამასთან, მწვანეთა განმარტებით, მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფრო მეტი წონა როდესაც ვწყვეტთ მნიშვნელოვან საკითხებს და პრობლემებს.

2.2 მწვანე ეკონომიკა - საქართველოს მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი მიმართულება

საქართველო, ისევე, როგორც მთლიანად თანამედროვე სამყარო, განვითარებისა და ტექნოლოგიური წინსვლის ფონზე უამრავი გარემოსდაცვითი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ბოლო ათწლეულში კლიმატის ცვლილებამ, წყლისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ის ეკოლოგიური გარემო, რომელშიც ადამიანები და სხვა ცოცხალი ორგანიზმები სახლობენ. საქართველოს სწრაფი ეკონომიკური ზრდის გამოკვეთილი ინტერესი გააჩნია, თუმცა მნიშვნელოვანია, მიმდინარე პროცესებმა ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. [22]

მწვანე ზრდა და მწვანე ეკონომიკა გაეროს მიერ აღიარებულია მდგრადი განვითარების ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორებად. მწვანე ზრდა წარმოადგენდა „ათასწლეულის განვითარების მიზნების“ ნაწილს და ასევე ხაზგასმულია „მდგრადი განვითარების მიზნებში“, რომლებიც გაერომ და მისმა წევრმა ქვეყნებმა 2015 წელს მიიღეს. საქართველოს მთავრობა მწვანე ეკონომიკას ქვეყნის მომავალი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად განიხილავს და გამოდის ინიციატივით, რომ მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით განახორციელოს ნებაყოფლობითი ღონისძიებები. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ეკოსისტემების სერვისების, სუფთა წარმოების, გარემოსდაცვითი განათლებისა და მწვანე სამუშაო ადგილების განვითარების ხელშეწყობა. საქართველოს მთავრობას კარგად აქვს გაცნობიერებული ის სარგებელი, რომლის მოტანაც მწვანე ეკონომიკას შეუძლია ადამიანებისა და გარემოსათვის.[23]

მწვანე ეკონომიკა არის ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც ამცირებს გარემოსდაცვით რისკებს და ეკოლოგიურ პრობლემებს, მიზნად ისახავს მდგრად განვითარებას და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას. ის

[22] ლ.ოსაძე, ლ.სრესელი, მწვანე ეკონომიკა - საქართველოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობა, თსსუ-ს, გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები,თბ.2019,გვ.296

[23] http://recp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf

მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურ ეკონომიკასთან, ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიღწევას. შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებით აერთიანებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს. მწვანე ეკონომიკა მოიცავს ექვს მთავარ სექტორს: განახლებადი ენერგია; მწვანე შენობები; სუფთა ტრანსპორტი; წყლის მენეჯმენტი; ნარჩენების მენეჯმენტი და მიწის მენეჯმენტი. საქართველოს ეკონომიკის, განსაკუთრებით მისი სამრეწველო სექტორის, განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და მისი ეკოსისტემების გამოყენებაზე. ატმოსფერულ ჰაერში ემისიები, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების და ნიადაგის დაბინძურება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენენ განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც სამრეწველო და სამთო წარმოება არის განვითარებული. საქართველოს ეკონომიკა გამოირჩევა ენერგიის და რესურსების გამოყენების ძალიან მაღალი ინტენსივობით - ეს მაჩვენებლები საქართველოში 2-2.5-ჯერ აღემატება დასავლეთის ქვეყნების მაჩვენებლებს. ითვალისწინებს რა, რომ მწვანე ეკონომიკური განვითარება არ იწვევს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას, საქართველოს მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მწვანე ეკონომიკურ განვითარებას.[24]

საქართველომ 2014 წელს მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას. ეს არის ერთგვარი განაცხადი და ამავე დროს სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივებს. ამ პირობებში, ქართული საზოგადოებისთვის ერთობ მნიშვნელოვანი უნდა იყოს იმ გამოწვევებისა თუ პრობლემების ცოდნა, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე ევროპა. მაშინ, როცა ევროპულ სივრცეში აქტიურად მიმდინარეობს დისკუსია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ფინანსური ბაზრის რეფორმირება, სისტემური უთანასწორობის აღმოფხვრა, მწვანე და მდგრადი ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები.

[24] http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1_sakartvelos_socialur-_ekonomikuri_ganvitarebis_strategiis_-_sakartvelo_2020.pdf

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრმა - კავკასიური სახლი ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის მხარდაჭერით 2016 წელს განახორციელა პროექტი - მწვანე იდეები საქართველოს პროგრესული განვითარებისთვის. პროექტი მიზნად ისახავდა მდგრადი განვითარების პრინციპებისა და ევროპის მწვანე პოლიტიკური დღის წესრიგის ძირითადი საკითხების გააზრების ხელშეწყობას საქართველოში.

კონკრეტულად კი, პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა:

- მწვანე პოლიტიკისა და ეკონომიკის შესახებ ცნობილი გერმანულენოვანი ავტორების სტატიების ქართულ ენაზე თარგმნა და ანთოლოგიის სახით გამოცემა
- გერმანელი მწვანე პოლიტიკოსის საქართველოში მოწვევა და საჯარო ლექცია მწვანე პოლიტიკის შესახებ
- ანთოლოგიის შინაარსის სხვადასხვა საკითხზე, საქართველოს ქალაქებში საჯარო დისკუსიების ინიცირება და ორგანიზება
- საუნივერსიტეტო კონფერენციის ორგანიზება თემაზე „ეკონომიკური პოლიტიკის სოციალური და ეკოლოგიური პასუხისმეგლობით განხორციელების გზები“

საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“, აღნიშნულია, რომ, გლობალური დათბობით გამოწვეული ეკონომიკური დანაკარგების აღმოსაფხვრელად, საქართველოს მთავრობის ძალისხმევასთან ერთად, საჭიროა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის საერთაშორისო ფონდებიდან (მწვანე კლიმატის ფონდი, გლობალური გარემოს დაცვის ფონდი და სხვ.) გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო განსაზღვრული გარემოსდაცვითი ინვესტიციების მოზიდვა, რაც ასევე შეუწყობს ხელს ქვეყანაში ენერგოდამზოგი, გარემოსადმი კეთილგანწყობილი თანამედროვე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ტყის რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების პრაქტიკის დანერგვა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას,

ვინაიდან ტყის ეკოსისტემების სიჯანსაღეზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის, ჰიდროენერგეტიკის, ტურიზმისა და ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარება. ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების, რეკრეაციული, წყალმარეგულირებელი და ნიადაგდაცვითი ფუნქციების გათვალისწინებით ტყის მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და ინოვაციური ტექნოლოგიების შემოტანა შეამცირებს ტყის დეგრადაციით გამოწვეულ ხარჯებს და ხელს შეუწყობს ეკონომიკური სარგებლის ზრდას ტყეების ეკოსისტემური სერვისის გაუმჯობესების გზით.

მთის საერთაშორისო დღეს, საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ევროკავშირის, შვედეთის და ავსტრიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას პროექტის „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი მთის ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“ დასაწყებად. პროექტი ითვალისწინებს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, მათი პროფესიონალიზმის ამაღლების და მასშტაბების გაზრდის მიზნით. პროექტი ასევე მიზნად ისახავს ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობას და დამატებითი შემოსავლის შექმნის შესაძლებლობის გაზრდას საქართველოს ეკონომიკისთვის ორ ისეთ მნიშვნელოვან სექტორში, როგორიცაა სამთო ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა. პროექტის შემუშავება მოხდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში. 4 წლიანი პროექტი 2019 წელს დაიწყო და დაფინანსებულია ევროკომისიის (3 მილიონი ევრო) შვედეთის (2.8 მილიონი ევრო) და ავსტრიის განვითარების თან8ამშრომლობის მიერ (1 მილიონი ევრო). პროექტს ავსტრიის განვითარების სააგენტო განახორციელებს 9 კაციანი გუნდის საშულებით, რომელიც მუდმივად იქნება განთავსებული მესტიასა და თბილისში.[25]

სამთო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროექტი ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებების განხორცილებას. მათ შორის, ადგილობრივი მიმწოდებლებისთვის ტურისტული სერვისების მიწოდების

[25] http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/strategiebi-gegmebi/2017-2021----------.pdf

ეროვნული ხარისხის სტანდარტებისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას. შემუშავებული სტანდარტების საფუძველზე სასტუმროებისა და სამთო/სამოგზაურო გიდების სერტიფიცირებას. პროექტის ფარგლებში ასევე მოხდება გამოცდილების გაზიარება ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, სამთო/სამოგზაურო გიდების და სასტუმროების მესაკუთრეების შესაძლებლობების განვითარება, სასწავლო მიზნებისთვის საჩვენებელი სამთო სასტუმროს შექმნა.

ორგანული სოფლის მეურნეობის განვითარების ფარგლებში პროქტი ითვალისწინებს საქართველოს ორგანული სოფლის მეურნეობის კანონმდებლობის ჰარმონიზებას ევროკავშირის ორგანულ სოფლის მეურნეობის კანონმდებლობასთან, შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას, სერტიფიცირების სააგენტოების და აგრო-საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებლების შესაძლებლობების განვითარებას, ორგანული სოფლის მეურნეობით დაკავებული ან დაინტერესებული ფერმერული კოოპერატივების გაძლიერებას, ასევე, საკონსულტაციო მომსახურების განვითარების ხელშეწყობას და ორგანული სოფლის მეურნეობის სექტორში მწარმოებლებს, მიმწოდებლებსა და გამყიდველებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას. საქართველოს რეფორმებს ევროინტეგრაციის გზაზე, საქართველოში ინკლუზიურ ზრდას, გენდერულ თანასწორობას და სიღარიბის დაძლევას“.

პროექტის შემუშავება მოხდა 49 მილიონი ევროს ღირებულების ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში, რომელიც საქართველოს ეკონომიკის და ბიზნესის განვითარებას ისახავს მიზნად. პროგრამის ხელმოწერა მოხდა 2018 წლის ნოემბერში, ბრუსელში, მაღალი დონის შეხვედრის ფარგლებში. შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის და საქართველოს მჭიდრო თანმშრომლობას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბიზნესისთვის სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესება, თანამედროვე ფინანსური სერვისების განვითარება და ინოვაციური ბიზნეს მოდელების შემუშავება.

„მწვანე ეკონომიკის“ სტრატეგიის პოლიტიკის განხორციელება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი და პირველი რიგის ამოცანაა. გარემოსდაცვითი პრობლემები არა მარტო ჩვენს, არამედ მთელი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს. მწვანე პოლიტიკის მთავარი ფოკუსი გახლავთ გარემოს დაცვა, რათა მოხდეს ქვეყნის ეკოლოგიის გაჯანსაღება და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება

მომავალი თაობებისთვის. ჩვენი მთავრობის მწვანე პოლიტიკა, როგორც იდეოლოგია, ისევ და ისევ ადამიანის სიცოცხლესა და კეთილდღეობაზეა დაფუძნებული, რამდენადაც გარემოს დაცვის ხარისხი და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობასთან.[26]

ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ევროპულ სივრცესთან დასაახლოებლად. ამისათვის ორი ძირითადი პრიორიტეტი გამოიკვეთა, პირველი - აღმოვფხვრათ ის ძალიან მძიმე მემკვიდრეობა, რომელიც დღეს გვერგო და მეორე - გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ეს უნიკალური სიმდიდრე და უახლოეს წლებში მივიღოთ ისეთი შედეგები, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც მწვანე ეკონომიკის მქონე ქვეყნის პოზიციონირებას. სტრატეგიაში გაწერილი სტანდარტები მთლიანად მიახლოებულია ევროპულ სტანდარტებთან. დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ ნორმებთან, თუმცა, მომდევნო წლებში უფრო მკაფიო და კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ჰაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების პრევენციის, ნარჩენების მართვის, ბიომრავალფეროვნების, ეკოსისტემებისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის განვითარების თვალსაზრისით. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა გვაქვს ურბანულ ქალაქებში და რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო მწვავედ დგას სამწუხაროდ ეს პრობლემა. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, შეიქმნას ატმოსფერული ჰაერის დაცვის ეფექტიანი პროგრამები ურბანული ქალაქებისთვის. თითოეულ სახელმწიფო უწყებას, მათ შორის, კერძო სექტორს განესაზღვრება კონკრეტული ვალდებულებები და რეკომენდაციები, იმისთვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაუმჯობესდეს ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა საქართველოში.

2018 წლის აგვისტოდან დაიწყო ქვეყანაში ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტის დანერგვა, რაც საშუალებას მოგვცემს, ქვეყნის მასშტაბით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასება მოხდეს თანამედროვე ევროპული სტანდარტების

[26] http://european.ge/mwvane-ekonomikuri-doqtrinistvis-tezisebi/

გამოყენებით. ქვეყანაში უკვე არსებული თანამედროვე ავტომატური მონიტორინგის ქსელი საშუალებას იძლევა, სწორედ ევროპული სტანდარტებით მოხდეს ჰაერის ხარისხის შეფასება. ჰაერის ხარისხის ევროპული სტანდარტების დანერგვა პასუხობს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნებს.

ასევე ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი გახდა მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკა. მთავრობის პრიორიტეტია, ეტაპობრივად ჩანაცვლდეს გაუმართავი და ამორტიზირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი. თბილისში, 2018-2019 წლებში მთლიანად მოხდა ე.წ ყვითელი ავტობუსების პარკის ჩანაცვლება. ამასთან ერთად, ეტაპობრივად დაწყებულია ელექტროავტობუსების შემოყვანის პროცესი. ამასთან ერთად, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობისა და დაგეგმარებისას, გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინება, რასაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

აგრეთვე, 2018 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმა, რომელიც 2019 წლის ბოლომდე ყველა ტიპის ავტოტრანსპორტს მოიცავს. ეს ხელს შეუწყობს როგორც გარემოზე ზემოქმედების, ასევე საგზაო უსაფრთხოების გაუმჯობესებას. აღნიშნული რეფორმის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ავტოპარკის ტექნიკური შემოწმება გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით. შესაბამისი ინიციატივების ფარგლებში კიდევ უფრო გამკაცრდება მოთხოვნები გამონაბოლქვის შემოწმების მიმართულებით. აგრეთვე, ბენზინსა და დიზელში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ნორმა დაუახლოვდება ევროპულ სტანდარტს. 2020წლამდე, ორივე საწვავის ხარისხი უნდა აიწიოს „ევრო 5“-მდე, რაც გულისხმობს იმას, რომ 10-ჯერ შემცირდება გოგირდის შემცველობა იმ საწვავში, რომლის იმპორტირებაც დღეს საქართველოში ხდება. აგრეთვე, ყველა ტიპის ავტომობილისთვის ტექნიკური დათვალიერების შემოღება მაქსიმალურად ხელს შეუწყობს დიზელზე მომუშავე ავტომობილების მიერ ჰაერის დაბინძურების მკვეთრ შემცირებას. ამასთან ერთად, იგეგმება იმპორტული ავტომობილების დაბეგვრის ისეთი რეჟიმის შემოღება, როდესაც კიდევ უფრო მეტი

უპირატესობა მიენიჭება ეკოლოგიურ ტრანსპორტს, მათ შორის მსუბუქ და დაბალი კუბატურის მქონე ავტომობილებს. მაღალი კუბატურის მქონე ავტომობილებისათვის გაიზრდება განბაჟების გადასახადი, რათა მოხდეს მეტი სტიმულირება, რომ საქართველოში მეტი ჰიბრიდული და ელექტროავტომობილი შემოვიდეს.

2018 წლის ოქტომბრიდან, სავალდებულო გახდა, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება გაიარონ რეგისტრაციის თარიღიდან 30 დღეში. მოგეხსენებათ, საქართველოში იმპორტირებული ავტომანქანების ფაქტობრივად 90%-ს არ აქვს გამართული ე.წ კატალიზატორის სისტემა, რაც ძალიან საშიშია და უკავშირდება, როგორც მანქანის ტექნიკურ გამართულობას, ამავე დროს გარემოზე ზემოქმედებას. შესაბამისად, ეს გახდება ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა იმისთვის, რომ მანქანამ მიიღოს ტექნიკური შემოწმების შესაბამისი დოკუმენტი. სხვაგვარად იმპორტირებული ავტომობილები ამ შემოწმებას ვერ გაივლიან.[27]

ინერგება გარემოსდაცვითი ინტეგრირებული სანებართვო სისტემა, რომელიც საწარმოებს ტექნოლოგიური ციკლის თანამედროვე ტექნოლოგიებით მაქსიმალურად მოკლე ვადაში ჩანაცვლებას დაავალდებულებს. მწვანე ინიციატივების წახალისებისთვის მნიშვნელოვანია აგრეთვე დაინერგოს ეკომარკირების ინსტრუმენტი, რაც გულისხმობს პროდუქციის წარმოებაში ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების წახალისებას და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობას.

როდესაც მწვანე ეკონომიკაზე ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ სოფლის მეურნეობის პოლიტიკა. მნიშვნელოვანია, შევცვალოთ პრიორიტეტები სოფლის მეურნეობაში. ჩვენი მწვანე ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსი სწორედ სოფლის მეურნეობა უნდა იყოს. საქართველო უნდა გახდეს ძალიან მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა, ე.წ ბიოპროდუქტის მწარმოებელი ქვეყანა. უკვე დაწყებულია ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. ნატურალური პროდუქტების გარკვეული ჯგუფი გათავისუფლებულია დღგ-სგან,

[27] https://www.facebook.com/bakhtadzemamuka/posts/301440800591996

მაგრამ, ამოცანაა, გადასახადებისგან სრულად გათავისუფლდეს ის სექტორი, რომელიც საქართველოში შეძლებს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას.

მნიშვნელოვანია, ენერგოეფექტურობის პოლიტიკა. პრიორიტეტია, ეკონომიკის ენერგომომხმარებელ სექტორებში ენერგოტევადობის შემცირების, ენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილების და მოხმარების სწორი მართვისა და ზოგადად ენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციის მიზნით სათანადო პოლიტიკის განსაზღვრა და გატარება. თუ ჩვენ ავიღებთ დასავლეთ ევროპის მაგალითს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაახლოებით 20%-იანი რესურსი გვაქვს იმისთვის, რომ ენერგოეფექტურობაში ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი მივიღოთ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალი, მწვანე, რეკრეაციული სივრცეების შექმნას ქალაქებში, ისევე როგორც არსებულის მოვლას და განახლებას. ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვანი ინვესტიციები იდება დაცული ტერიტორიებისა და ყველა ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნური ეკოსისტემების განვითარებაში.

მწვანე სტრატეგიის იმპლემენტაციის გზაზე. ბევრი წამყვანი ეკონომისტის მოსაზრებით, 21-ე საუკუნეში სწორედ მწვანე ეკონომიკას აქვს ყველაზე მაღალი კაპიტალიზაციის მოტანის საშუალება. ჩვენი მცირე ეკონომიკისთვის ეს არის უზარმაზარი შესაძლებლობა, მაგრამ მისი გამოყენებისთვის აუცილებელია, თანმიმდევრულნი ვიყოთ ჩვენს ნაბიჯებში. ამ რეფორმის შედეგად, საქართველოში უნდა მივიღოთ სრულიად უნიკალური გარემო და ეს კაპიტალიზაცია შეეხება ნებისმიერ მიმართულებას. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოში უძრავი ქონების ფასი უფრო მაღალი იქნება, ჩვენი მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში ფლობენ, როგორც მიწის ნაკვეთებს, ბინებს თუ კერძო სახლებს, უფრო მეტი კაპიტალის მფლობელები გახდებიან. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია იქნება უფრო კონკურენტუნარიანი და ჩვენ შევძლებთ, ავითვისოთ ის უნიკალური საშუალება, რასაც გვაძლევს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი, როგორც ჩინეთთან, ასევე - ევროკავშირის ქვეყნებთან.[28]

[28] ლ.ოსაძე, ლ.სრესელი, მწვანე ეკონომიკა - საქართველოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობა, თსსუ-ს, გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ. 2019, გვ. 297

რაც მთავარია, ეს იქნება ძალიან მნიშვნელოვანი წინაპირობა, განათლების სექტორის ფუნდამენტურ რეფორმასთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს ყველაზე მთავარს, რომ საქართველო იყოს განვითარებული ეკონომიკის, ნამდვილი ევროპული ინსტიტუტების მქონე ქვეყანა და ეს გახდება ერთადერთი უალტერნატივო წინაპირობა ჩვენი აფხაზი და ოსი მოქალაქეებისთვის, რომ ჩვენ ერთად ვაშენოთ ძლიერი და ევროპული საქართველო.

III თავი

საქართველოს გარემოსდაცვითი პრობლემები და გამოწვევები

3.1. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე პროგრამაში ასახულია საქართველოს გარემოსდაცვითი პრიორიტეტები და განსაზღვრულია სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნები, უახლოეს 5 წელიწადში განსახორციელებელი ამოცანები და კონკრეტული ქმედებები, რომლებიც აუცილებელია გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

გარემოსდაცვითი პოლიტიკის მთავარი მიზანი, რომელსაც აყალიბებს საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა არის ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარება, რომლის დროსაც გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები თანაბრად განიხილება. გარემოს დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სოციალურ - ეკონომიკური საქმიანობებით გამოწვეული გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება, უკვე არსებული უარყოფითი ზემოქმედების მისაღებ დონემდე შემცირება და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც გრძელვადიან პერიოდში მომავალ თაობებს ჯანსაღ გარემოში ცხოვრების საშუალებას მისცემს. [29]

გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამების მომზადების ვალდებულება განსაზღვრულია საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ (1997 წელი). 2000 წელს საქართველოს მთავრობამ მოამზადა და დაამტკიცა საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცების შედეგად საქართველოს თანამშრომლობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსა და სხვადასხვა დონორებთან უფრო დინამიური გახდა. გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველი ეროვნული პროგრამა კონცენტრირებული იყო,

---

[29] http://www.eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/
საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა -2017-2021 წწ, თბ.2017,გვ.9

როგორც გარემოს დაცვისა და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ასევე საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო შეთანხმებებისა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე.

2012-2016 წლების გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა მომზადდა დაინტერესებული მხარეების უფრო ფართო სპექტრთან თანამშრომლობითა და ნიდერლანდების მთავრობის მხარდაჭერით. გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნულ პროგრამაში განსაზღვრული იყო გრძელვადიანი მიზნები, მოკლევადიანი ამოცანები და კონკრეტული ღონისძიებები ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

გარემოსდაცვითი პრობლემების კომპლექსური და დარგთაშორისი ხასიათიდან გამომდინარე, გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამაში ხაზგასმული იყო ეროვნულ და ადგილობრივ დონეებს შორის გარემოსდაცვითი პოლიტიკის კოორდინაციის მნიშვნელობა. გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა მომზადდა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამის მომზადებისა და განხორციელების პროცესში მიღებული მნიშვნელოვანი გამოცდილების გათვალისწინებით. ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებზე. გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა შემუშავდა შემდეგი სამი ძირითადი პოლიტიკური ტენდენციის გათვალისწინებით:

- **„საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“;**
- **„გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები“ და ის გარემოსდაცვითი საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მხარესაც საქართველო წარმოადგენს;**
- **გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ეროვნული და დარგობრივი სტრატეგიები.** [30]

[30] http://www.eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan
საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა -2017-2021 წწ, თბ.2017,გვ.10

ამავე დროს, გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა ასახავს გარემოს ხარისხსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რეალურ პრობლემებსაც. დოკუმენტი ემყარება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“-ით განსაზღვრულ პრინციპებს, რომელიც მოიცავს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფასა და ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ქვეყნის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ სხვა ეროვნულ დოკუმენტებზეც, რომლებიც საკუთარ წვლილს შეიტანს სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მიზნების ინტეგრაციის საქმეში.

გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და იმ სხვა სახელმწიფო უწყებების ძირითად სტრატეგიულ დოკუმენტს, რომლებიც ახორციელებენ გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკას ან წვლილი შეაქვთ ამგვარი პოლიტიკის განხორციელებაში. ეფექტიანი გარემოსდაცვითი პოლიტიკის შემუშავება, ეროვნული კანონმდებლობის განხორციელებისა და აღსრულების გაძლიერება, აგრეთვე გარემოსდაცვითი მონიტორინგის, მონაცემთა დამუშავებისა და ანგარიშგების სისტემის გაუმჯობესება, რაც ხელისუფლებისა და საზოგადოებისათვის საქართველოს გარემოს ხარისხის შესახებ სანდო ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს, გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებებს მიეკუთვნება.

გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის სტრატეგიული მიზნებია:

1. **გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება, ბუნებრივი რესურსების დაცვის/მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა და იმ რისკების თავიდან აცილება/მინიმუმამდე დაყვანა,**

რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადამიანების ჯანმრთელობას და მოსახლეობის კეთილდღეობას.

აღნიშნული მიზნის ფარგლებში პრიორიტეტულ საქმიანობებს წარმოადგენს ისეთი ღონისძიებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესებაში წყლის რესურსების, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, ბუნებრივი კატასტროფების მართვის, ტყისა და ბიომრავალფეროვნების, ნიადაგის დაცვის, რადიაციული უსაფრთხოებისა და კლიმატის ცვლილების სფეროებში პრევენციული, შემარბილებელი და საადაპტაციო ღონისძიებების საშუალებით. მიზნები და ქმედებები განსაზღვრულია ქვეყანაში არსებული ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

2. საქართველოს მიერ რეგიონული და გლობალური გარემოსდაცვითი კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესება და შემდგომი დაახლოება ევროკავშირის გარემოსდაცვით პოლიტიკასთან, ჩარჩო კანონმდებლობასა და კონკრეტული დირექტივების მოთხოვნებთან.

აღნიშნული პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, შემუშავებულია გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროებში ევროკავშირთან დაახლოების საგზაო რუკა. გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამაში განხილულია საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციებისა და კანონმდებლობის შესრულების სხვადასხვა ასპექტებიც.

3. ადმინისტრაციული სტრუქტურების გაძლიერება ეფექტიანი გარემოსდაცვითი მართვისა და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული მიზანი ეხება ცენტრალურ ადმინისტრაციულ ინსტიტუტებსა და მათ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (სსიპ) შორის ევროკავშირთან დაახლოების პროცესისა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული კომპეტენციებისა და პასუხისმგებლობების სათანადოდ გადანაწილებას. მიზნის მიღწევის შედეგად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გარემოსდაცვითი მოთხოვნების ეფექტიანი განხორციელება და აღსრულება ხელისუფლების ყველა დონეზე გარემოსდაცვითი მართვის შესაძლებლობების

გაძლიერების გზით, რაც ასევე ხელს შეუწყობს ხელისუფლების ორგანოებს შორის ჰორიზონტალური და ვერტიკალური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას.

4. მდგრადი განვითარების ხელშწყობა სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაში გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრაციის საშუალებით

აღნიშნული მიზანი გულისხმობს ეროვნული მდგრადი განვითარების პოლიტიკის შემუშავება/განხორციელების გაუმჯობესებას ეკონომიკური ეფექტიანობისა და გარემოსდაცვითი ეფექტურობის დაბალანსების საშუალებით და შესაბამისად გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელების ხელშეწყობას. მის ფარგლებში მოიაზრება გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ამაღლება გარემოსთან დაკავშირებული ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს შორის ისეთი მექანიზმების დამკვიდრების საშუალებით, როგორებიცაა გარემოსდაცვითი თვითმონიტორინგი, გარემოსდაცვითი მართვის პრინციპების განხორციელება, ინტეგრირებული ნებართვების სისტემის ამოქმედება, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის გათვალისწინება და სხვ. გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა გზას უხსნის მწვანე ეკონომიკური ზრდისა და მწვანე ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრების ხელშემწყობ საქმიანობებს. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს მდგრადი განვითარების მიდგომის დამკვიდრებას, რაც უზრუნველყოფს სხვა დარგების საქმიანობაში გარემოსდაცვითი ასპექტების ინტეგრირებას სოციალური მოთხოვნებისა და კონომიკური ზრდის პარალელურად. გარემოსადაცვითი მმართველობა მნიშვნელოვანია შესაბამისი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის გარემოსადაცვითი მმართველობა მნიშვნელოვანია შესაბამისი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელებისთვის არსებულ გარემოსდაცვით გამოწვევებზე ადექვატურად და ეფექტიანად რეაგირების მიზნით. გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამაში წარმოდგენილია მთელი რიგი პრიორიტეტული ქმედებები, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობას, დააბალანსოს ეკონომიკური განვითარება გარემოსდაცვითი დანაკარგების

გარეშე, ისარგებლოს გარემოს სიკეთეებით და ეკოსისტემების სერვისებით ისე, რომ ქვეყანა მდგრადად და დაბალასებულად განვითარდეს. [31]

3.2. მდგრადი განვითარების პრობლემები მსოფლიოსა და საქართველოში

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით საქართველომ მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავების ვალდებულება აიღო თავზე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ადამიანები პირად სიმდიდრესთან ერთად აფასებენ კეთილდღეობას, რომელიც ეკონომიკურის გარდა სოციალურ მახასიათებლებსაც მოიცავს.

ევროპელთა უმრავლესობისთვის იმთავითვე ფასობდა უსაფრთხო და კომფორტული სოციალური გარემო, რომელიც სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. ცოტა მოგვიანებით ევროპელებმა განსაკუთრებული ყურადღება ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებასა და უვნებლობასაც მიაქციეს. ბალცეროვიჩს სამართლიანად აქვს აღნიშნული, რომ, საზოგადოება სერიოზულად ინტერესდება ეკოლოგიური პრობლემებით მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მშპ 5 ათას დოლარს გადასცდება.[32]

დღესდღეობით კეთილდღეობის, ცხოვრების ხარისხის ევროპული ცნება, გარდა წმინდა ეკონომიკური მახასიათებლებისა (მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი დინამიკა) მოიცავს ადამიანის უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას, ღირსეული მუშაობის და სრულფასოვანი დასვენების შესაძლებლობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, კომფორტულ და უსაფრთხო სოციალურ გარემოს, და აგრეთვე თაობათა სოლიდარობას - უზრუნველყოფილ სიბერეს მოხუცებისთვის და

[31] http://www.eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/
საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა -2017-2021 წწ, თბ.2017გვ.1

[32] (ლეშეკ ბალცეროვიჩი, თავისუფლება და განვითარება, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა, თბილისი 2004)

დღეს არსებულ ან უკეთეს ფიზიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოს მომავალი თაობებისთვის.[33]

ყოველივე ამას ევროპელები ცხოვრების ხარისხს უწოდებენ. ეს მიდგომა ფაქტობრივად ევროპული ფასეულობების ქვაკუთხედია. და სწორედ ამიტომ, "მდგრადი განვითარების" პარადიგმა დღევანდელი ევროპული კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილია. ევროპის კონსტიტუციით საერთო ბაზრის ერთ-ერთი დანიშნულებაა "უზრუნველყოს ევროპის მდგრადი განვითარება, რომელიც დაეფუძნება დაბალანსებულ ეკონომიკურ ზრდას და ფასების სტაბილურობას (თუ ბალანსს ეკონომიკური ზრდისა და ფასების სტაბილურობას შორის?), აგრეთვე მაღალი კონკურენტუნარიანობის მქონე სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, და მიზნად ისახავს სრულ დასაქმებას და სოციალურ პროგრესს, აგრეთვე გარემოს ხარისხის დაცვის და გაუმჯობესების მაღალ დონეს.[34]

სიღარიბე, დასაქმება, სოციალური დაცვა და ჩართულობა ევროკავშირის შეფასებით, მისი მდგრადი განვითარების შემაფერხებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს სიღარიბე და სოციალური გარიყვა წარმოადგენს. 2010 წლის მონაცემებით ევროკავშირის მოსახლეობის 16% (დაახლოებით 79 მილიონი ადამიანი, მათ შორის ბავშვებიც) სიღარიბის რისკის ქვეშ იმყოფებოდა. ევროკავშირის აზრით სიღარიბეს ამძაფრებს და ფაქტიურად გამოუვალს ხდის სოციალური გარიყვაც, რომელშიც ევროკავშირში მცხოვრები გარკვეული ჯგუფები (მათ შორის ეთნიკური ჯგუფები) ევროპაში დღემდე იმყოფებიან. ევროკავშირში მიიჩნევენ, რომ ამ პრობლემების (სიღარიბის და სოციალური გარიყვის) დაძლევა ღარიბი ან გარიყული ადამიანებისთვის მხოლოდ ფულადი დახმარებით არ მიიღწევა. საჭიროა უფრო მეტი - ხელმისაწვდომი დასაქმება, დაბინავება, ჯანდაცვა, საკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურებები, განათლება და უნარების დახვეწა (თრენინგი).

---

[33] ლეშეკ ბალცეროვიჩი, თავისუფლება და განვითარება, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა, თბილისი 2004)

[34] http://weg.ge/sites/default/files/lia_shota_geo.pdf
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ლ.თოდუა,შ.მურღულია, ,,მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები".

საქართველოში, საჯარო ფინანსების სიმწირის გამო, სახელმწიფო ოჯახებისთვის საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის ვალდებულებას თავის თავზე ვერ იღებს. მოხუცებულთა პენსია ნაკლებია საარსებო მინიმუმზე და მოხუცებულთა ფიზიკური არსებობა ან მათ დამატებით შემოსავალზე ან მათი ოჯახების მხრიდან გაწეულ დახმარებაზეა დამოკიდებული ასევე ძალზე მწირია განსაკუთრებულ საჭიროებათა მქონი ჯგუფების დახმარება და ამ ჯგუფების საჭიროებათა მხოლოდ ნაწილის ანაზღაურებას უზრუნველყოფს. მაგალითად: დახმარებები ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო (სადეკრეტო შვებულების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებადი 126 დღე, 30 ლარამდე დღეში), ანაზღაურებადი შვებულება ახალშობილის შვილად აყვანის გამო (70 ანაზღაურებადი დღე, 30 ლარამდე დღეში), სოციალურად დაუცველი ოჯახების სამედიცინო დაზღვევა, მასწავლებლების სამედიცინო დაზღვევა, დევნილთა და ლტოლვილთა შემწეობა.[35]

გარემოს დაცვისა და განვითარების კომისიის ანგარიშში, გარემოსდაცვითი პრობლემატიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე, 1987 წელს შეიცვალა ევროკავშირის გარემოს დაცვის პოლიტიკა. 1992 წელს გარემოს დაცვის კონფერენციაზე გარემოს დაცვის გლობალურ პროგრამასთან ერთად, მიიღეს კლიმატის შესახებ ჩარჩო კონვენცია.[36] გაეროს 42-ე გენერალურმა ასამბლეამ ოფიციალურად შემოიტანა უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კონცეფცია. ამ კონცეფციის თანახმად, მსოფლიოში არსებული გლობალური საფრთხეებიდან, რომელიც მნიშვნელოვნად ემუქრება საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის გარემოს დეგრადაცია და მისი თანამდევი პრობლემები. 2004 წელს, გაერთიანებული ერების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში „უფრო უსაფრთხო მსოფლიო: ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა“ ხაზი გაესვა იმას, რომ აუცილებელია პრობლემათა გადაჭრისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება. მსოფლიო ჯერ კიდევ არ არის მზად შეხედოს განვითარების პრობლემებს ინტეგრირებულად და თანმიმდევრულად. სიღარიბესთან, გადამდებ დაავადებებსა და გარემოს

[35] http://weg.ge/sites/default/files/lia_shota_geo.pdf

[36] გველესიანი რ. გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი II. სახელმძღვანელო. - თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009, გვ.137.

დეგრადაციასთან ბრძოლა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. მაგ. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე დაახლოებით 2-მა მილიარდმა ადამიანმა განიცადა ბუნებრივი კატასროფების ზეგავლენა, ხოლო ამ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად წარმოშობილმა ეკონომიკურმა ზარალმა გადააჭარბა წინა ოთხი ათეული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. პროგნოზების თანახმად კლიმატის ცვლილება კიდევ უფრო გაამძაფრებს როგორც ბუნებრივი კატასტროფების სიხშირესა და სიმძიმეს, ასევე საკმაოდ უარყოფითი ზეგავლენა ექნება როგორც სიღარიბის, ასევე გადამდები დაავადების ზრდაზე. საჭიროა პრობლემათა გადაჭრის ინტეგრირებული გზების ძიება. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, ბევრ ქვეყანაში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგში კვლავაც პრობლემატურია. გადაწყვეტილების მიმღებთა ფრაგმენტულ ქმედებებს, გარემოსდაცვით რისკებსა და უსაფრთხოების პრობლემებს შორის კავშირების უგულვებელყოფას სამოქალაქო კონფლიქტებისა და დაძაბულობის ესკალიაციამდე, ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების კატალიზირებამდე, სოციალური და ბუნებრივი გარემოს შეუქცევად დეგრადაციამდე, ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესებისა და სხვა უარყოფით ზემოქმედებამდე მივყავართ. დღევანდელი თვალსაზრისით, გარემოსდაცვითი უსაფრთხოება განსაზღვრავს ქვეყნის და საზოგადოების უნარს გადაიტანოს და/ან წინ აღუდგეს გარემოსდაცვითი რესურსების სიმწირეს, შეუქცევად გარემოსდაცვით ცვლილებებს ან ბუნებრივი რესურსების გამო წარმოშობილ დაძაბულობასა და კონფლიქტებს. გარემოს დეგრადაციამ და ბუნებრივი რესურსების და ეკოსისტემების არარაციონალურმა მოხმარებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას თემებსა და ერებს. ხოლო კონკურენცია სწრაფად ამოწურვად რესურსებზე, როგორიცაა ტყეები, მტკნარი წყალი, ნაყოფიერი ნიადაგები, კლიმატის ცვლილების ზეგავლენა და ადამიანთა მიგრაცია საფრთხეს უქმნის სტაბილურობასა და მშვიდობას. ტრანსასაზღვრო დაბინძურება და/ან გარემოსდაცვითი ავარიები და კატასტროფები ხშირად უარყოფითად მოქმედებს მეზობელ სახელმწიფოებზე. თუმცა, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისას წამოჭრილმა პრობლემებმა ასევე შეიძლება გააერთიანოს ადამიანები და თემები, რათა ერთობლივად გამოასწორონ ბუნებრივი რესურსების მართვა. შესაბამისად, თანამშრომლობა გარემოს დაცვის კუთხით შეიძლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი

გახდეს კონფლიქტების პრევენციასა და ერებსა და თემებს შორის მშვიდობის დამყარებაში. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო), გაეროს ადამიანის განვითარების პროგრამამ და გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ 2003 წელს დააარსეს გარემო და უსაფრთხოების ინიციატივა (ENVSEC). სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში 2004 წლიდან ამოქმედდა ENVSEC პროგრამა. სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების ორი კატეგორიის პრობლემას ვხვდებით, ეს არის არსებული კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში (საქართველო), კონფლიქტი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ყარაბაღში და მასთან დაკავშირებული ასობით ათასი დევნილი და კონფლიქტების მაღალი რისკი ჩრდილოეთ კავკასიაში. ხოლო პრობლემების მეორე კატეგორია დაკავშირებულია ახალ პოლიტიკურ და სოციალურეკონომიკურ რეალობასთან, რამაც შეიძლება გააძლიეროს და გამოიწვიოს ახალი კონფლიქტები როგორც ქვეყნებში, ასევე ქვეყნებს შორის. [37]

გარდა კონფლიქტური ტერიტორიების გარემოს დეგრადაციისა და ინფორმაციის არ არსებობისა, ENVSEC პროგრამა პრიორიტეტულად გამოყოფს სამხრეთ კავკასიისთვის შემდეგ ტიპის რისკებს:

• ტრანსასაზღვრო გარემოსდაცვითი რისკების მართვა: ტრანსასაზღვრო წყლის რესურსები, ბუნებრივი კატასტროფები, საბჭოთა კავშირის სამრეწველო და სამხედრო მემკვიდრეობა; • დედაქალაქის და სხვა მთავარი ქალაქების სწრაფი განვითარება და მოსახლეობის ზრდა. საქართველოსთვის სპეციფიური რისკები მოიცავს: ჰაერის დაბინძურებას ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვით; ნიადაგისა და წყლის დაბინძურებას; მინერალების ღია კარიერული წესით მოპოვებას; წყლის და კანალიზაციის გაუმართავი სისტემების არსებობას, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის გარემოს და ადამიანების ჯანმრთელობას. პრობლემურ საკითხებს შორის გამოყოფილია აგრეთვე თურქეთის მიერ მდ. ჭოროხზე ჰესების მშენებლობა, რაც იწვევს შავი ზღვის სანაპიროს წარეცხვასა და ეროზიას, საძოვრების დეგრადაციასა და ტყეების გამეჩხერიანებისა, მდ. მტკვრის დაბინძურებას. საბჭოთა მემკვიდრეობიდან

[37] http://weg.ge/sites/default/files/lia_shota_geo.pdf
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ლ.თოდუა,შ.მურღულია, ,,მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები“.

დარჩენილია: ნიადაგების დეგრადაცია და ეროზია, დაბინძურება პესტიციდებით და მძიმე მეტალებით, საშიში ქიმიური და რადიოაქტიური ნივთიერებები ყოფილი სამხედრო ბაზებიდან. [38]

COVID-19 ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის

კორონარული ვირუსი (COVID-19) რთული გამოწვევა და მნიშვნელოვანი საფრთხეა არა მხოლოდ მსოფლიო ჯანდაცვისათვის, არამედ გლობალური ეკონომიკისთვისაც. ის თუ რა ზეგავლენას იქონიებს COVID-19 მსოფლიო ეკონომიკაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ვირუსის გავრცელების ტენდენციებზე (რამდენად შორს და რა სისწრაფით გავრცელდება ვირუსი), ვაქცინის შექმნის ვადებსა და ცალკეული ქვეყნების უნარსა და სურვილზე იმოქმედონ ეფექტურად.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევები და ანგარიშები პანდემიის გავლენას გლობალურ ეკონომიკაზე არაერთგვაროვნად აფასებენ. აზიის განვითარების ბანკის გავრცელებულ ანგარიშში[39],

პანდემიის მოსალოდნელი შედეგების განვითარების სამი პოტენციური შემთხვევა არის განხილული. პანდემიის გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე განსხვავებულად აისახება და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დრო დასჭირდება მის დამარცხებას. აზიის განვითარების ბანკის მიხედვით, პანდემია 77$ (0.08% მშპ) მილიარდიდან 347$ მილიარდამდე (0.4% მშპ) ზიანს მიაყენებს მსოფლიო ეკონომიკას. გაეროს მიერ შემოთავაზებული უკანასკნელი ანალიზით,“ [40] COVID-19-ის შემდგომ გლობალური ეკონომიკის ზრდა მინიმუმ 2.5%-მდე შემცირდება, მიყენებული ზარალი კი დაახლოებით ტრილიონ დოლარს მიაღწევს. უფრო ცუდ შემთხვევაში ეს რიცხვი შეიძლება გაორმაგდეს. ყველაზე დიდი ზიანი კი ნავთობის და სხვა საქონლის

---

[38] http://weg.ge/sites/default/files/lia_shota_geo.pdf
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ლ.თოდუა,შ.მურღულია, ,,მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები“.

[39] “The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia”, Asian Development Bank, 6 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2UpeGe9

[40] The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It.” UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WwcW5O

ექსპორტიორ ქვეყნებს მიადგება. მოსალოდნელია ასეთი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტემპის მინიმუმ 1%-იანი შემცირება.

ეუთოს ანგარიშის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკის ზრდა 2.4%-მდე შემცირდება წინასწარ ნავარაუდევი 2.9%-დან [41] რაც ძირითადად, მსოფლიო ვაჭრობის შემცირებით იქნება განპირობებული.

რაბო ბანკის ცოდნის ცენტრის ანაგარიში მოსალოდნელ შედეგებს კიდევ უფრო ნეგატიურად აფასებს და გლობალური ეკონომიკის ზრდის შემცირებას 1.6%-მდე ელოდება (უარეს შემთხვევაში კი 0.2%-მდე). მნიშვნელოვან ფინანსურ ზიანს უნდა ელოდონ განვითარებადი ეკონომიკებიც.[42]

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას თქმით, მხოლოდ ერთ თვეში ჩინეთსა და ირანთან პირდაპირი ავიამიმოსვლის შეჩერებამ საქართველოში გამოიწვია დაახლოებით 30 მილიონი ლარის ზარალი. ამ განცხადების შემდეგ ავიამიმოსვლა შეწყდა ევროკავშირის ქვეყნებთანაც.

მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინები განსხვავებულია, ძირითადად, ეკონომიკური ზეგავლენა ქვეყნებზე შემდეგი ლოგიკით განვითარდება: მთავარ ეკონომიკურ დარტყმებს მიიღებენ ის ქვეყნები, რომლებშიც COVID-19-ის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები იქნება, შემდეგ ის ქვეყნები, რომელთა ეკონომიკებიც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული ტურიზმზე, ნავთობისა და სხვა საქონლის ექსპორტზე, ამის შემდგომ კი ნეგატიური ზეგავლენა მათი პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკებშიც გადაიღვრება.

COVID-19-ის შედეგად მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ ევროკავშირის ქვეყნები, რუსეთი, აშშ, რომლებთანაც საქართველოს ახლო ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებს. ეკონომიკური შედეგები, რაც COVID-19-ის გავრცელებას მოჰყვა, ძალიან მძიმედ აისახა ჩინეთის ეკონომიკაზე. ჩინეთის საბაჟო

---

[41] Coronavirus: The world economy at risk" OECD Economic Outlook, 2 მარტი 2020. იხ: https://doi.org/10.1787/7969896b-en,

[42] Erken Hugo, Menno Middeldorp, Raphie Hayat, and Kan Ji. "Global Economic Outlook: COVID-19 Has Taken a Hold of the Global Economy," Rabobank, 12 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/3a7J17U

ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული მონაცემების მიხედვით“[43], ბოლო ორი თვის განმავლობაში ჩინეთის საგარეო ვაჭობა 11%-ით შემცირდა (17.2%-ით შემცირდა ექსპორტი, ხოლო იმპორტი მხოლოდ 4%-ით). მნიშვნელოვნად შემცირდა ჩინეთის ვაჭრობა მის უმსხვილეს პარტნიორებთანაც: ევროკავშირთან (14.2%), აშშ-სთან (19.6%) და იაპონიასთან (15.3%). აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი ორი თვის მონაცემებით ჩინეთის საგარეო ვაჭრობამ 7.09$ მილიარდიანი დეფიციტი დააფიქსირა (წინა წლის იმავე თვეების მონაკვეთში საგარეო ვაჭრობის მატება 41.45$ მილიარდს უტოლდებოდა).

ჩინეთის ეროვნული სტატისტიკის მონაცემების მიხედვით, თებერვლის თვეში ჩინეთის წარმოების ინდექსი (PMI)8 14.3 ნიშნულით დაეცა და 35.7%-ს უტოლდება, რაც რეგიონების მიხედვით წარმოების შეჩერებით, გახანგრძლივებული დასვენებითა და კარანტინის პირობებით არის განპირობებული. კაიქსინის ჩატარებული კვლევის მიხედვით წარმოების ინდექსი (PMI) თებერვალში ისტორიულ მინიმუმზე დაეცა და 40.3% შეადგინა.[44] აზიის განვითარების ბანკის პროგნოზის მიხედვით ჩინეთის ეკონომიკას COVID-19-ის ეპიდემია ყველაზე უარეს შემთხვევაში 42$ მილიარდი დაუჯდება და მშპ-ს ზრდის ტემპი 1.74%-ით შემცირდება. მძიმე ეკონომიკურ ეფექტს და ზარალს პროგნოზირებს ევროკავშირსა და ევროზონაში. ანგარიშში 2020 წლის მშპ-ს ზრდის ტემპის (1.4%) შემცირებას 2.5%-ით ელოდებიან, სხვა სიტყვებით, 2020 წლისთვის დაახლოებით -1%-იან რეცესიას პროგნოზირებენ [45] რომლისგანაც ევროკავშირის ეკონომიკა თავის დაღწევას მხოლოდ 2021 წლისთვის მოახერხებს. თუმცა, ანგარიში ასევე ყურადღებას ამახვილებს თითოეული ქვეყნის როლსა და უნარზე, შეამცირონ პანდემიის გავლენა ეკონომიკაზე. სწორი და მიზანმიმართული ქმედებების შემთხვევაში, ეკონომიკის ზრდა შეიძლება დაახლოებით 0%-მდე გაუმჯობესდეს.

---

[43] China's foreign trade fell 11% in first 2 months of 2020" General Administration of Customs People's Republic of China, 7 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2Jf6bgV

[44] Ziyz, Tang. "Chinese Manufacturers Haven't Seen It This Bad in 16 Years, Caixin PMI Shows" Caixin, 2 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2QwZACa

[45] Coordinated economic response to the COVID-19 Outbreak" European Commission, 13 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WvIQiP,

ევროკომისია შეთანხმდა „მაქსიმალური მობილობის“ პოლიტიკაზე პანდემიასთან გასამკლავებლად, რაც გულისხმობს 38€ მილიარდის მობილიზებასა და მზაობას მოქნილი პოლიტიკის გასატარებლად. სამოქმედო გეგმა ჯერ კიდევ უნდა დამტკიცდეს ევრო საბჭოსა და პარლამენტის მიერ, რაც თავისთად დაჩქარებულ ფორმატშიც კი გრძელი პროცესია. [46] COVID-19-ის პანდემიამ ყველაზე მძიმე გავლენა ევროპულ ქვეყნებს შორის იტალიაზე იქონია. იტალიის მთავრობამ 28$ მილიარდი გამოყო კრიზისის შესამსუბუქებლად და პანდემიის ნეგატიური შედეგების შესამცირებლად. ეკონომიკური სტიმულირებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 3.9$ მილიარდი ჯანდაცვის სერვისების სუბსიდირებას მოხმარდება, ხოლო 11 მილიარდი - ოჯახების და დასაქმებულების დახმარებისთვის იქნება გახარჯული. ეკონომიკის სტიმულირებისათვის გაწეული ხარჯებით იტალიის ბიუჯეტის დეფიციტი ევროკავშირის დადგენილ ლიმიტს (მშპ-ს 3%), აუცილებლად გადააჭარბებს, რაც, სავარაუდოდ, ევროინსტიტუციებში შესაბამისი რეაგირების განხილვის საგანი გახდება. COVID-19-ის დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობით ევროპულ ქვეყნებში გერმანიაც, იტალიის მსგავსად, ერთ-ერთი ლიდერია. Kail Institute-ის მიმოხილვა გერმანიის ეკონომიკის რეცესიას პროგონოზირებს -0.1%-ით, რაც იანვარში არსებულ მოლოდინზე (+1.1%) მნიშვნელოვნად დაბალია. განსაკუთრებული ზიანი გერმანიის ეკონომიკას პირველ ორ კვარტალში მიადგება. ხოლო მესამე კვარტლიდან გერმანიის ეკონომიკა უწინდელ კალაპოტს დაუბრუნდება18. რაბო ბანკის მოლოდინებით, 2020 წლის რეცესია უფრო მძიმე იქნება გერმანიისათვის და ეკონომიკა 0.3%-ით შემცირდება.[47]

აშშ-ს მშპ-ს ზრდა რეალურ ფასებში პირველ კვარტალში 6.5%-ით შემცირდა, ხოლო მეორე კვარტალში - 1.9%-ით. [48] მოსალოდნელია, ასევე, უმუშევრობის გაზრდა

---

[46] COVID-19: Commission sets out European coordinated response to counter the economic impact of the Coronavirus", European Commission, 13 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/3dgqQi6

[47] Erken Hugo, Menno Middeldorp, Raphie Hayat, and Kan Ji. "Global Economic Outlook: COVID-19 Has Taken a Hold of the Global Economy," Rabobank, 12 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/3a7J17U

[48] Shulman David. "U.S. Forecast: The Sum of All Fears", UCLA Anderson Forecast, მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2U7oLOb

3.6%-დან 5.0%-მდე, რაც 2020 წლის პირველი კვარტლიდან 2021 წლის პირველ კვარტლამდე მილიონამდე სამუშაო ადგილის შემცირებას გულისხმობს. უფრო პოზიტიური მოლოდინებია ეუთო-ს ანგარიშში, რომელიც ამერიკის ეკონომიკის ზრდის პანდემიამდე პოტენციურ ზრდასთან შედარებით, მხოლოდ 0.1%-ით შემცირდებას პროგნოზირებს.[49] მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების შესამცირებლად, აშშ-ს მთავრობამ ეკონომიკის სტიმულირების პაკეტი მიიღო, რომლის მიხედვითაც მთელი რიგი საპასუხო ქმედებები გატარდა. ფედერალურმა რეზერვმა უმუშევრობის დონის და ფასების სტაბილურობის შესანარჩუნებლად ფედერალური ფონდების განაკვეთი შეამცირა 0% და 0.25%-მდე. [50] ასევე, ფედერალური რეზერვი მომავალი თვეების განმავლობაში გაზრდის ეროვნული ბონდების რეზერვებს 500$ მილიარდით და გირავნობით უზრუნველყოფილ ფასიანი ქაღალდების რეზერვებს 200$ მილიარდით.

რუსეთი მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური მონაცემებით, რუსეთი თითქოს წარმატებულად არიდებს თავს ვირუსის ლოკალურ აფეთქებას, COVID-19-ის ნეგატიური ზეგავლენა რუსეთის ეკონომიკაზე უკვე საგრძნობია.

ეუთო-ს მარტის ანგარიშში, რუსეთის ეკონომიკის ზრდის ტემპი გადაიხედა და შემცირდა. თუ წლის დასაწყისში მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა 1.6% იყო, ახლა ის ოთხი მეათედით შემცირდა. შესაბამისად 2020 წლისთვის რუსთის ეკონომიკის 1.2% ზრდა არის პროგნოზიებული. [51] პანდემიის შედეგად, რუსული ექსპოტის მოცულობის შემცირება არის მოსალოდნელი. ამ ეტაპზე, რუსეთის ეკონომიკაზე მთავარი ზეგავლენა ნავთობის ფასებმა მოახდინა. Goldan Sachs-ის მოლოდინებით, მეორე კვარტალში, ბარელი ნავთობის ფასი $20-ის ფარგლებში იყო. [52]

---

[49] Coronavirus: The world economy at risk" OECD Economic Outlook, 2 მარტი 2020. იხ: https://doi.org/10.1787/7969896b-en

[50] Federal Reserve press release, 15 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/3dgyQ2O

[51] Coronavirus: The world economy at risk" OECD Economic Outlook, 2 მარტი 2020. იხ: https://doi.org/10.1787/7969896b-en

[52] Blas Javier, Longley Alex. "Goldman Warns Oil Could Dip Into The $20s As Price War Begins", Bloomberg, 8 მარტი 2020. იხ: https://bloom.bg/33wYdJ4

ბოლო წლების განმავლობაში ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა, რომელიც მშპ-ს დაახლოებით 11%-ს აგენერირებს. 2019 წელს ვიზიტორების მთლიანმა რაოდენობამ 9 357 964-ს მიაღწია, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 7.8%-ით მეტია. COVID-19-ის შედეგად გამოწვეული მოგზაურობის შიში და ჩაკეტილი საზღვრები ყველაზე ნეგატიურ გავლენას სწორედ ტურიზმის ინდუსტრიაზე იქონიებს. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) გამოქვეყნებული ანალიზის თანახმად, რომელიც 2003 წელს SARS-ის გავრცელების სცენარს განიხილავს, როგორც პოტენციურ მოდელს, მსოფლიო ტურიზმი მოგზაურების 1-3%-იან შემცირებას უნდა ელოდოს მაშინ, როდესაც წინასწარი პროგნოზებით ვიზიტორების რაოდენობა 3-4%-ით უნდა გაზრდილიყო."[53]

ეს კი მსოფლიო ტურიზმს $30-50 მილიარდამდე ზარალს მიაყენებს.

მსოფლიო ტურიზმის კრიზისი საქართველოზეც მოახდენს გავლენას. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემების მიხედვით, თებერვლის თვეში უკვე შემცირდა საერთაშორისო ვიზიტორთა რაოდენობა 0.7%-ით წინა წლის იმავე თვის მაჩვენებელთან შედარებით, თუმცა გაიზარდა ტურისტულ ვიზიტორთა რაოდენობა 4%-ით. აღსანიშნავია, რომ 161.5%-იანი ზრდა შეინიშნებოდა თებერვლის თვეში ესტონეთიდან ჩამოსულ ტურისტებზე. ტურისტული ნაკადის საგრძნობი ზრდა შეიმჩნეოდა ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდანაც: პოლონეთი (84.8%), იტალია (81.2%), საფრანგეთი (52.4%) და გერმანია (38%).[54]

რაც შეეხება უკანასკნელი წლის სტატისტიკას: ევროკავშირიდან და ირანიდან შემოსული ვიზიტორები მნიშვნელოვან სეგმენტს შეადგენენ ქართულ ტურიზმში. 2019 წელს შემოსულ ვიზიტორთა სრული რაოდენობის 6.28%-ს შეადგენდნენ ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორები. ევროკავშირიდან შემოსულ ვიზიტორთა ნაკადი 2018 წელთან შედარებით დაახლოებით 26%-ით მეტი იყო. ირანელი ვიზიტორების წილი შედარებით მცირე იყო, თუმცა საერთო ვიზიტორების 1.52%-ს შეადგენდა. 2019

[53]The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It." UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WwcW5O

[54] საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. იხ: https://bit.ly/33JUt7

წელს ირანელი ვიზიტორების რიცხვმა მნიშვნელოვანი კლება განიცადა 2018 წელთან შედარებით და 51.2%-ით შემცირდა, რაც სასაზღვრო კონტროლის გამკაცრებითა და ირანის ეკონომიკური სტაგნაციით იყო განპირობებული. მას შემდეგ, რაც სამოგზაურო შეზღუდვები უკვე პრაქტიკულად ყველა ქვეყანაზეა გავრცელებული, მათ შორის მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთზეც, ცხადია გავლენა ტურიზმის სფეროზე კიდევ უფრო გაიზარდა. სამოგზაურო შეზღუდვები და ჩაკეტილი საზღვრები საქართველოს ტურისტულ სექტორს დააზარალებს და, სავარაუდოდ, შეანელებს ბაზრის დივერსიფიკაციის პროცესს.

ტურისტების შემცირება ასევე აისახება სარესტორნო ბიზნესზე, სავაჭრო ობიექტების ბრუნვაზე და ა.შ. ამ ბიზნესებზე ზეგავლენას მოახდენს არა მხოლოდ ტურისტების შემცირება, არამედ სხვადასხვა შეზღუდვები, რომლებიც დისტანციების დაცვას ისახავს მიზნად. ეკონომიკური გავლენის მასშტაბის შესაფასებლად შეიძლება აღინიშნოს, რომ მაგალითად ტურიზმის სფეროში, 2018 წლის ოფიციალური მონაცემებით, მხოლოდ სასტუმროებსა და რესტორნებში 44 000 ადამიანია დასაქმებული; ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სფეროში ჩართულია 187,6 ათასი ადამიანი და ა.შ.

საქსტატის უკანასკნელი მონაცემების მიხედვით (2019 წელი) საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ევროკავშირზე მოდის. ევროკავშირიდან 45 შემოსული ინვესტიციები სრული ინვისტეციების 2%-ს უტოლდებოდა. ამერიკიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვესტიციების 7.8%-ია, ხოლო ჩინეთიდან შემოსული ინვესტიციები - 3.2%. [55]

2019 წლის მონაცემებით 15 ყველაზე მნიშვნელოვან ინვესტორებს შორის არიან აშშ, ჩინეთი და იაპონია. არსებულ ქვეყნებში ვირუსული აფეთქების ეკონომიკური ეფექტი შეიძლება პირდაპირ გავრცელდეს საქართველოზეც. ინვესტიციების შემცირების ტენდენცია უკანასკნელი წლების მანძილზე ისედაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისათვის. ახლა ეს რისკები კიდევ უფრო აქტუალურია.

[55] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. იხ: https://bit.ly/2WwH80o

COVID-19-ის ეკონომიური ეფექტი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საერთაშორისო ვაჭრობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო საერთაშორისო ვაჭრობაზე, ძირითადად, შეზღუდვები არ დაწესებულა, დიდი ალბათობით, მაღალი რისკის ქვეყნებში განვითარებული ეკონომიკური პრობლემები პირდაპირ იქონიებს ზეგავლენას მათ პარტნიორებზეც. საქართველოს ახლო ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებს ევროკავშირთან, რომელიც საექსპორტო ბაზრის 1/3-ს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ექსპორტში აზერბაიჯანის წილი, რომელთანაც გადაადგილება შეიზღუდა, თუმცა სასაქონლო სავაჭრო ბრუნვა არ შეწყვეტილა (2020 წლის იანვარ-თებერვალში ექსპორტის 17,2%), ჩინეთის წილი ექსპორტში, იმის მიუხედავად, რომ იანვარ-თებერვალში ამ ქვეყანაში უკვე დაწყებული იყო კორონავირუსის აფეთქება, ასევე დიდია და 12,4%-ს შეადგენს, მესამე ადგილზეა რუსეთი, რომლის წილიც ექსპორტში, დროის იგივე მონაკვეთში, 11,5%-ს შეადგენდა. [56]

2019 წლის რიცხვი დაანგარიშებულია დიდი ბრიტანეთის მონაცემების ჩათვლით. აღსანიშნავია რომ სწორედ დიდი ბრიტანეთი იყო ყველაზე მსხვილი ინვესტორი ევროკავშირის ქვეყნებს შორის. ევროკავშირის მიერ საქართველოში ინვესტიციების 41.4%-ს დიდი ბრიტანეთის ინვესტიციები წარმოადგენდა. [57] ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით47, 2020 წლის იანვარსა და თებერვალში საქართველოს ექსპორტი იმავე პერიოდის წინა წლის მონაცემებთან შედარებით შემცირდა. იანვარში სხვაობა მხოლოდ 0.46% იყო, მაგრამ უკვე თებერვლის თვეში საქართველოს ექსპორტმა საგრძნობლად - 17.9%ით დაიკლო. თებერვალში, COVID-19 ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოში. ქართული ექსპორტის შემცირებაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, ნაწილობრივ მაინც, მსოფლიო ვაჭრობის შემცირებით იყო განპირობებული.

ცალკე განხილვის თემაა რუსეთის ბაზარი. აქ არსებულმა სავალუტო კრიზისმაც (რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პირველ რიგში დაკავშირებულია

[56] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: https://www.geostat.ge/

[57] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: https://www.geostat.ge/

ნავთობის ფასის ვარდნასთან) ამ ეტაპისთვის ყველაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ქართული ვალუტის კურსზე. რადგან საქართველოს ექსპორტში რუსეთის წილი ბოლო წლებია მნიშვნელოვნად იმატებდა და მაგალითად 2020 წლის იანვარ-თებერვლის მონაცემებით, მთლიანი ექსპორტის 11,5%-ს შეადგენს. რუსული რუბლის კურსის ვარდნა განსაკუთრებით აისახება ისეთ სფეროებზე, რომლის ექსპორტშიც რუსეთის წილი განსაკუთრებით მაღალია - პირველ რიგში, ეს ღვინის ექსპორტია: ღვინის სააგენტოს მონაცემებით, 2020 წლის იანვარ-თებერვლის და 2019 წლის ჯამური მონაცემებით რუსეთი ქართული ღვინის ექსპორტში პირველ ადგილზეა.

ფულადი გზავნილები მნიშვნელოვანი ინდიკატორია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის შეფასებისას. საქართველო მოწყვლადია იმ ქვეყნების ეკონომიკური კრიზისებისადმი, რომლებიდანაც მიღებული ფინანსური გზავნილები ყველაზე მაღალია. ფულადი გზავნილების წილი საქართველოს მშპ-ში 13.5 %-ს შეადგენს ევროკავშირიდან მიღებული ფულადი გზავნილები, მთლიანი ფულადი გზავნილების 41.7%-ია. [58]ყველაზე მეტ ფულად გზავნილს ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველო იტალიიდან (15.8%) და საბერძნეთიდან (12%) იღებს. მნიშვნელოვანი, 10.4%-იანი წილი მოდის აშშ-ზე. რუსეთიდან (20.9%) და ისრაელიდან (10.5%) მიღებული გზავნილები დაახლოებით მთლიანი გზავნილების 1/3-ს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ გზავნილების მოცულობა არ შემცირებულა, პანდემიის გავრცელებას ევროპასა და ამერიკაში, სავარუდოდ, მძიმე ნეგატიური გავლენა ექნება ფულადი გზავნილების მოცულობაზეც. გზავნილების ზომის შემცირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული COVID-19-ის გავრცელების პრევენციისა და ეკონომიკური ზარალების შემაკავებელი პრაქტიკების ეფექტურობაზე. [59]

დღეს მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მნიშვნელოვან გაურკვევლობას წარმოშობს და შესაბამისად, რთულია ამ

---

[58] (2019 წლის წინასწარი, საქსტატი). https://www.geostat.ge/ka/news?page=6

[59] საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. იხ: https://bit.ly/2WwH80o
საქართველოს ეროვნული ბანკი: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=728

გლობალური გამოწვევის მართვა და გავლენის განსაზღვრა მდგრად განვითარებაზე, თუმცა მნიშვნელოვანია, სწორი პროგნოზი და რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება:

- მთავრობის მიერ არსებული ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრება. ამ ეტაპისთვის მთავრობა მიმდინარე გამოწვევებს პასუხობს, მართავს სამედიცინო საფრთხეებს და ჰუმანიტარულ ამოცანებს, და გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის შეფასებისთვის საკმაოდ შეზღუდული რესურსი რჩება;
- შეზღუდული რესურსების პირობებში, საკმაოდ რთულია ცალკეული ეკონომიკური შეღავათების და სტიმულირების პაკეტების ინიცირება, შეზღუდვების დაწესება და ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია ამ ნაბიჯების ეკონომიკური ფასის განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კრიზისის ე.წ. შეღავათების შეთავაზებას არ ქონდეს ისეთი ხასიათი, როგორიც მაგალითად საბანკო „შეღავათიანი პერიოდის“ მექანიზმს, რომელიც მექანიკურად გაქცევს ამ რეჟიმში და მისი დატოვებისთვის გიწევს აქტივობის განხორციელება და არა - მასში ჩართვისთვის. ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, მნიშვნელოვანია არ შეიზღუდოს მოქალაქეთა ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება;
- მნიშვნელოვანია კრიზისის ვადები და ასევე ის, თუ როგორ შეძლებს მსოფლიო მასთან გამკლავებას - რადგან საქართველოს ტიპის ქვეყნები მნიშვნელოვნად იქნებიან დამოკიდებული იმ საერთაშორისო დახმარების მასშტაბზე, რომლის მობილიზებასაც ისინი შეძლებენ;
- კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონული მმართველობის მიმართულებით რეფორმების დაჩქარებას და არსებული პლატფორმების განვითარებას და მათი ხელმისაწვდომობის ზრდას;
- საერთაშორისო პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გააზრება, არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ ეკონომიკური კრიზისის მართვის მიმართულებით, აუცილებელია;
- ასევე, მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივებიც, ანუ ის, თუ რამდენად შეძლებს ქართული ბიზნესის ნაწილი მაინც თვითორგანიზებას, ახალი ტიპის

მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავებას, რომელიც არსებულ გამოწვევებს მეტად უპასუხებს

დასკვნა

- საქართველოს მდგრადი განვითარების გამოკვეთილი ინტერესი გააჩნია. მწვანე ზრდა და მწვანე ეკონომიკა გაეროს მიერ აღიარებულია მდგრადი განვითარების ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორებად.
- განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს, რომ გარემოს დაცვა და ეკონომიკური განვითარება უნდა განიხილებოდეს ერთმანეთის შემავსებლად და არა ურთიერთსაწინააღმდეგოდ. დასავლეთის ქვეყნების განვითარებამ, აჩვენა, რომ ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა შესაძლოა მაშინ, როცა დაცულია წონასწორობა ქვეყნის განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას შორის და რომ ხალხის კეთილდღეობა მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებს ისეთივე მნიშვნელობა ენიჭება, როგორიც ეკონომიკურ ზრდას.
- გარემოს დაცვისა და სოციალური სფეროების მეცნიერების დასკვნებით, გარემოსთან დაკავშირებული ამ და სხვა პრობლემების ხუთი მთავარი გამომწვევი მიზეზი არსებობს, ესენია: მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, რესურსების უყაირათოდ და არამდგრადად გამოყენება, სიღარიბე, გარემოს გაუარესებით გამოწვეული დანახარჯების აუსახველობა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში და ცოდნის ნაკლებობა გარემოში მიმდინარე პროცესებზე.
- აღსანიშნავია გარემოს დაცვის სფეროში არსებული გეგმარებითი სახის დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავენ გარემოს დაცვის მიმართულებით, ან უფრო კონკრეტული სფეროების მიხედვით ქვეყანაში დაგეგმილ ღონისძიებებს. ზოგი დოკუმენტი ზოგადია და გადმოსცემს ქვეყნის სტრატეგიულ ხედვას, რომელსაც უნდა დაეფუძნოს სამომავლოდ კონკრეტული სამოქმედო გეგმა (მაგ., ეროვნული სატყეო კონცეფცია), ხოლო ზოგი უფრო დეტალურია თავისი მიზნებითა და კონკრეტული, დროში გაწერილი ღონისძიებებით (მაგ.საქართველოს ბიომრავალფეროვნების

სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (NBSAP)). დამტკიცებულ და დღეის მდგომარეობით მოქმედ დოკუმენტებს შორის აღსანიშნავია: საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021წწ, საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა - მოიცავს 2014-2020 წლებს, ქვეყნის გაუდაბნოებასთან ბრძოლის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა - მოიცავს 2014-2022 წწ, საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია;

- 2004 წელს, გაერთიანებული ერების მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში „უფრო უსაფრთხო მსოფლიო: ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა“ ხაზი გაესვა იმას, რომ აუცილებელია პრობლემათა გადაჭრისადმი ერთიანი მიდგომის შემუშავება. მსოფლიო ჯერ კიდევ არ არის მზად შეხედოს განვითარების პრობლემებს ინტეგრირებულად და თანმიმდევრულად. სიღარიბესთან, გადამდებ დაავადებებსა და გარემოს დეგრადაციასთან ბრძოლა ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. მაგ. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე დაახლოებით 2 მილიარდმა ადამიანმა განიცადა ბუნებრივი კატასროფების ზეგავლენა, ხოლო ამ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად წარმოშობილმა ეკონომიკურმა ზარალმა გადააჭარბა წინა ოთხი ათეული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. პროგნოზების თანახმად კლიმატის ცვლილება კიდევ უფრო გაამძაფრებს, როგორც ბუნებრივი კატასტროფების სიხშირესა და სიმძიმეს, ასევე საკმაოდ უარყოფითი ზეგავლენა ექნება როგორც სიღარიბის, ასევე გადამდები დაავადების ზრდაზე. საჭიროა პრობლემათა გადაჭრის ინტეგრირებული გზების ძიება. ბევრ ქვეყანაში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრირება ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგში კვლავაც პრობლემატურია. გადაწყვეტილების მიმღებთა ფრაგმენტულ ქმედებებს, გარემოსდაცვით რისკებსა და უსაფრთხოების პრობლემებს შორის კავშირების უგულვებელყოფას სამოქალაქო კონფლიქტებისა და დაძაბულობის ესკალიაციამდე, ბუნებრივი თუ ტექნოგენური კატასტროფების კატალიზირებამდე, სოციალური და ბუნებრივი გარემოს შეუქცევად დეგრადაციამდე, ადამიანების ჯანმრთელობის გაუარესებისა და სხვა უარყოფით ზემოქმედებამდე მივყავართ. დღევანდელი თვალსაზრისით, გარემოსდაცვითი უსაფრთხოება განსაზღვრავს ქვეყნის და საზოგადოების უნარს გადაიტანოს და/ან წინ აღუდგეს გარემოსდაცვითი

რესურსების სიმწირეს, შეუქცევად გარემოსდაცვით ცვლილებებს ან ბუნებრივი რესურსების გამო წარმოშობილ დაძაბულობასა და კონფლიქტებს.

- წამოჭრილმა პრობლემებმა უნდა გააერთიანოს ადამიანები და თემები, რათა ერთობლივად გამოასწორონ ბუნებრივი რესურსების მართვა. შესაბამისად, თანამშრომლობა გარემოს დაცვის კუთხით მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი უნდა გახდეს კონფლიქტების პრევენციასა და ერებსა და თემებს შორის მშვიდობის დამყარებაში. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო), გაეროს ადამიანის განვითარების პროგრამამ და გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ 2003 წელს დააარსეს გარემო და უსაფრთხოების ინიციატივა (ENVSEC). სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის საქართველოში 2004 წლიდან ამოქმედდა ENVSEC პროგრამა.
- 2006 წელს, ლონდონის ეკონომიკური სკოლის, კლიმატის ცვლილებისა და გარემოს გრანთემის კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტის თავჯდომარემ, ეკონომისტმა ნიკოლას შტერნმა გამოაქვეყნა 700 გვერდიანი ანგარიში, რომელიც მიმოიხილავდა კლიმატის ცვლილების ზემოქმდებას მსოფლიო ეკონომიკაზე და განიხილავდა მას, როგორც ეკონომიკური განვითარების ყველაზე დიდ გამოწვევას. ანგარიშის მთავარი დასკვნა არის ის რომ რაც უფრო ადრე მოხდება ინვესტირება კლიმატის ცვლილების გამოწვევების აღმოსაფხვრელად, მით უფრო ნაკლები იქნება საბოლოო დანახარჯი და სარგებელი მსოფლიოსთვის. ანგარიშის თანახმად, ქმედების გარეშე, კლიმატის ცვლილების ყოველწლიური დანახარჯი სულ ცოტა მსოფლიო მშპ-ს 5%-ი დაჯდება. რისკებისა და ზემოქმედების ფართო სპექტრის გათვალისწინებით შესაძლებელია რომ ეს ციფრი 20%-მდე გაიზარდოს. შტერნის გათვლებით, თუ გაგრძელდება ე.წ. ჩვეულებრივი ბიზნესის მოდელი ამ შემთხვევაში, ტემპერატურის ზრდა 5-6 გრადუსი ცელსიუსით შესაძლებელია გაიზარდოს 2100 წლამდე. მიმოხილვის თანახმად, კლიმატის ცვლილების ყველაზე ცუდი შედეგების ასაცილებლად ყოველწლიურად დაახლოებით, 1%-ი გლობალური მშპ-ს ინვესტიციაა საჭირო. 2008 წელს, განახლებული ანგარიშის თანახმად, იმისთვის, რომ მივაღწიოთ 500 და 550 ppm ნახშიროჟანგის სტაბილიზაციას ატმოსფეროში საჭირო იყო 2% of GDP ინვესტიცია, ვინაიდან კლიმატის ცვლილების პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

- მდგრადი განვითარების მიღწევისათვის აგრეთვე საჭიროა კორუფციისა და ამასთან პირადული სარგებლობისთვის ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აღმოფხვრა. კორუფციის შედეგად მთავრობის მიერ შესაძლებელია გარკვეული სფეროების წახალისება სხვა სფეროებში არსებული ვალდებულებების უგულვებელყოფის გზით, რაც შეიძლება გარემოსათვის უარყოფითი ეფექტით დამთვრდეს. ჩვენ ვმართავთ ეკონომიკას რეგულაციების, კანონებისა და წახალისების სქემების რთული სისტემით. ხშირად დამახინჯებულია სუბსიდირების სისტემა, როგორც ეკონომიკის, ასევე გარემოსთვის საზიანო ეფექტის მატარებელია. მდგრადი განვითარების ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად მსოფლოში დაახლოებით 1.5 ტრილიონი ამერიკული დოლარი იხარჯება ასეთი დამახინჯებული სუბსიდიების დაფინანსების მიზნით. ასეთი სუფსიდირების, თუნდაც გარკვეულწილად აღმოფხვრა მნიშვნელოვანი სტიმული იქნება მდგრადი განვითარებისთვის. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ აუცილებელია მთელი რიგი ცვლილებების გატარება, ისე რომ სხვადასხვა კონფლიქტურ ინტერესებს შორის მიღწეულ იქნას შეთანხმება. ამის მისაღწევად საჭიროა მთავრობებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთიანი ძალისხმევა ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://www.economy.ge/?page=ec;
2. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა, 2015-2016 https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld;
3. http://www.eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/ საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა -2017-2021 წწ, თბ.2017,nგვ.6-7;
4. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28553/Environment_Strategic_Action_Plan_13; საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა,2015-2016;
5. http://www.eiec.gov.ge/ თემები/Environmental-Education.aspx;
6. http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68 მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება 1995 წლის 24 აგვისტო;
7. http://www.ivote.ge/images/doc/uploadedFiles/files/kanoni%20witeli%20wignisa%20da%20witeli%20nusxis%20sesaxeb.pdf საქართველოს კანონი საქართველოს "წითელი ნუსხისა" და "წითელი წიგნის" შესახებ მუხლი # 4 - კანონის ძირითადი მიზანი;
8. 1996 წლის 10 დეკემბერიმუხლი 3. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები იხ.https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340?publication=29#!;
9. საქართველოს კონსტიტუცია http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68 ;
10. http://www.eiec.gov.ge_ თემები/გარემოსდაცვითი-პოლიტიკა.aspx;
11. http://greenalt.org/wpcontent/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ.26;
12. http://greenalt.org/wpcontent/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ.26;

13. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ 26 იხ. http://greenalt.org/wpcontent/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf
14. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ.22 იხ: http://greenalt.org/wpcontent/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf
15. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ.24 იხ. http://greenalt.org/wpcontent/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf
16. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა, გვ.26 იხ. http://greenalt.org/wpcontent/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf
17. საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2015-2016 იხ. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28553/Environment_Strategic_Action_Plan_13
18. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28553/Environment_Strategic_Action_Plan_13 საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2015-2016
19. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28553/Environment_Strategic_Action_Plan_13 საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2015-2016;
20. https://sustainabledevelopment.un.org/post2015/transformingourworld
21. http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/28553/Environment_Strategic_Action_Plan_13 პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის სამოქმედო გეგმა 2015-2016;
22. ლ.ოსაძე, ლ.სრესელი, მწვანე ეკონომიკა - საქართველოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობა, თსსუ-ს, გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები,თბ.2019,გვ.296;
23. http://recp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf
24. http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1_sakartvelos_socialurekonomikuri_ganvitarebis_strategiis_-_sakartvelo_2020.pdf

25. http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/strategiebi-gegmebi/2017-2021----------.pdf
26. http://european.ge/mwvane-ekonomikuri-doqtrinistvis-tezisebi/
27. https://www.facebook.com/bakhtadzemamuka/posts/301440800591996
28. ლ.ოსაძე, ლ.სრესელი, მწვანე ეკონომიკა - საქართველოს მდგრადი განვითარების შესაძლებლობა, თსსუ-ს, გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები,თბ.2019,გვ.297
29. http://www.eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/ საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა -2017- 2021 წწ, თბ.2017,გვ.9
30. http://www.eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan
საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა -2017-2021 წწ, თბ.2017,გვ.10
31. http://www.eiec.gov.ge/NavMenu/Documents/Action-Plan/საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა -2017-2021 წწ, თბ.2017გვ.11
32. (ლეშეკ ბალცეროვიჩი, თავისუფლება და განვითარება, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა, თბილისი 2004);
33. ლეშეკ ბალცეროვიჩი, თავისუფლება და განვითარება, თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა, თბილისი 2004);
34. http://weg.ge/sites/default/files/lia_shota_geo.pdf
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ლ.თოდუა,შ.მურღულია, ,,მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები".
35. http://weg.ge/sites/default/files/lia_shota_geo.pdf
36. გველესიანი რ. გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი II. სახელმძღვანელო. - თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი", 2009, გვ.137
37. http://weg.ge/sites/default/files/lia_shota_geo.pdf საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ლ. თოდუა, შ. მურღულია, ,,მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები".
38. http://weg.ge/sites/default/files/lia_shota_geo.pdf

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ლ.თოდუა, შ. მურღულია, „მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები“

39. “The Economic Impact of the COVID-19 Outbreak on Developing Asia”, Asian Development Bank, 6 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2UpeGe9
40. The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It.” UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WwcW5O
41. Coronavirus: The world economy at risk” OECD Economic Outlook, 2 მარტი 2020. იხ: https://doi.org/10.1787/7969896b-en,
42. Erken Hugo, Menno Middeldorp, Raphie Hayat, and Kan Ji. “Global Economic Outlook: COVID-19 Has Taken a Hold of the Global Economy,” Rabobank, 12 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/3a7J17U
43. China’s foreign trade fell 11% in first 2 months of 2020” General Administration of Customs People’s Republic of China, 7 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2Jf6bgV
44. Ziyz, Tang. “Chinese Manufacturers Haven’t Seen It This Bad in 16 Years, Caixin PMI Shows” Caixin, 2 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2QwZACa
45. Coordinated economic response to the COVID-19 Outbreak” European Commission, 13 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WvIQiP,
46. COVID-19: Commission sets out European coordinated response to counter the economic impact of the Coronavirus”, European Commission, 13 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/3dgqQi6
47. Erken Hugo, Menno Middeldorp, Raphie Hayat, and Kan Ji. “Global Economic Outlook: COVID-19 Has Taken a Hold of the Global Economy,” Rabobank, 12 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/3a7J17U
48. Shulman David. “U.S. Forecast: The Sum of All Fears”, UCLA Anderson Forecast, მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2U7oLOb
49. Coronavirus: The world economy at risk” OECD Economic Outlook, 2 მარტი 2020. იხ: https://doi.org/10.1787/7969896b-en
50. Federal Reserve press release, 15 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/3dgyQ2O

51. Coronavirus: The world economy at risk" OECD Economic Outlook, 2 მარტი 2020. იხ: https://doi.org/10.1787/7969896b-en
52. Blas Javier, Longley Alex. "Goldman Warns Oil Could Dip Into The $20s As Price War Begins", Bloomberg, 8 მარტი 2020. იხ: https://bloom.bg/33wYdJ4
53. The Coronavirus Shock: a Story of Another Global Crisis Foretold and What Policymakers Should Be Doing about It." UNCTAD, 9 მარტი 2020. იხ: https://bit.ly/2WwcW5O
54. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. იხ: https://bit.ly/33JUt7
55. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. იხ: https://bit.ly/2WwH80o
56. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: https://www.geostat.ge/
57. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. იხ: https://www.geostat.ge/
58. 2019 წლის წინასწარი, საქსტატი). https://www.geostat.ge/ka/news?page=6
59. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. იხ: https://bit.ly/2WwH80o
60. საქართველოს ეროვნული ბანკი: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=728